სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 2 ნოემბერი 2004 №255 (2276) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზმაიფარაშვილი ესპანურმა ძალლის თავებმა დაკბინეს

თავგადადებული ქართველი დიდოსტატი თავდებით გამოუშვეს



OU! CAMP NOU

ბარსელონა – მილანი

რუსული ფული რუსული არმიის წინააღმდეგ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

კეთილი იყოს ჩემპიონთა ლიგის დაბრუნება მცირე დასვენების შემდეგ — დღეს ჯგუფური ეტაპის მეორე ნახევარი იწყება და, შესაძლოა, დღესვე შევიტყოთ იმ გუნდის ვინაობა, რომელიც პლეი ოფში ანუ თექვსმეტ დაწინაურებულს შორის დაიბევებს ადგილს.

დღევანდელი პროგრამის ყველაზე კაშკაშა მატჩს კი, ალბათ, ყველანი „კამპ ნოუზე“ ველით: „ბარსელონა“ — „მილანი“. ეს თამაში ორი კვირის წინ „სან სიროზე“ უკვე იყო და „მილანმა“ 1:0 მოიგო, დღეს კი მასპინძელი „ბარსაა“. შესაძლოა, ამ შეხვედრაში კახა კალაძემაც ითამაშოს.

„სან სირო“ კი დღეს „ინტერ“ — „ვალენსიას“ მასპინძლობს. შეარჩენენ ესპანელები მილანელებს ორი კვირის წინანდელ 1:5?

მოსკოვს კი რომან აბრამოვიჩის ფულითა და ჟოზე მაურინიუს ჭკუით მოღონიერებული „ჩელსი“ სტუმრობს. საამმატჩოდ მთელი მოსკოვი ფეხზე დგას. ცსკა — „ჩელსის“ უსაფრთხოებას დღეს 3 000 მილიციელი დაიცავს.

დინამოს ტაქტიკა: 1A და სამი თავდამსხმელი

ძოგა ინასარიძე
ლონდონიდან

თბილისიდან შუადღეს ამგზავრებულნი ავიაკომპანია „ბრიტიშ ეირვეიზის“ „აერობუსით“ „ჰითროუს“ აეროპორტში ხუთსაათიანი ფრენის შემდეგლა დავეშვით.

„დინამომ“ კომფორტულად იმგზავრა, საქართველოში კვლავ ამოქმედებული ავიაკომპანიის სტიუარდესებმა ყურადღება არც თბილისში დააკლეს დინამოელებს და არც ლონდონში.

გია გეგუჩაძემ 21 ფეხბურთელი იახლა, რომელთა შორის დისკვალიფიცირებული მცველი დავით ჭიჭვეიშვილიცაა და აქვეა სამი მეკარე — ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე და ირაკლი თოთლაძე.

დინამოელები ლონდონში, ცხადია, არ გაჩერებულან, მალევე გადასხდნენ ნიუკასლის თვითმფრინავში და იქ ჩასულები ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ დაბინავდნენ.

ზედიზედ განცდილი სამი მარცხის მიუხედავად, ბიჭებს უხასიათობა არ ეტყობათ, რაც მთავარია, ყველა ჯანზეა.

გია გეგუჩაძისთვის რისკი რომ უცხო რამ არ არის, გეცოდინებათ. ჰოდა, რომ გამოველაპარაკე, ბატონმა გიამ პირდაპირ მითხრა, არ მაინტერესებს, ნიუკასლელებს შირერი ეყოლებათ, ბელამი თუ კლუივერტი, არც იქაური ატმოსფეროსი მეშინია, „დინამო“, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, უეჭველად სამი ფორვარდით ითამაშებსო.

„თუ დაცვაში ჩავჯექით, საქმე ძალიან ცუდად წაგვივა, შეიძლება წავაგოთ, შეიძლება ფრეც იყოს. მაგრამ მე აქ მოსაგებად ვარ ჩამოსული. ერთი კი ფაქტია, „ნიუკასლთან“ თამაში უდიდესი სკოლა იქნება ჩვენთვის“ — დასძინა გეგუჩაძემ.

სავარაუდოდ, ფორვარდთა ტრიო კაკალაძე-მელქაძე-ახალაია იქნება და ღმერთმა ქნას, გეგუჩაძის ჩანაფიქრმა გაამართლოს.

„დინამო“ ნიუკასლში დღეს, შუადღისას ივარჯიშებს, მერე კი თბილისელები ქალაქს დაათვალიერებენ.

გეგუჩაძეს ისიც ვკითხე, ჭიჭვეიშვილი რატომღა წაამიყვანეთ, ის ხომ მაინც ვერ ითამაშებს-მეთქი. მიპასუხა, დათო გუნდის წევრია, თამაშამდე ორჯერ ვივარჯიშებთ და ჭიჭვეიშვილიც გუნდთან ერთად მოემზადებაო.

ორი ვარჯიში ვახსენეთ და, გეტყვით იმასაც, რომ ჩვენები „სენტ ჯეიმს პარკზე“, სადაც „ნიუკასლი“ — „დინამო“ გაიმართება, ხვალ საღამოს ივარჯიშებენ.

ბორისოვი, პრაღა, კრაკოვი... გახსოვთ ალბათ, „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი თითოეული თამაშის წინ თავისივე ხელით გამოჭედილი ნალით იცავდა ავი თვალისგან გუნდს. პეტრიაშვილს მგზავრობისას ახლაც შესცინა ბედმა და „აერობუსის“ სალონში ისეთი ადგილი ერგო, რომელზეც ამბობენ, იღბლიანიაო.

რა ადგილი იყო? პეტრიაშვილს 1A-სავარძელი ერგო— ეს ნომერი კი იმას ნიშნავდა, რომ ეს არის პირველი რეისი, პირველი რიგი და პირველი სავარძელი.

დავით პეტრიაშვილი

გაზეთ „ფეხბურთის“ ფოტო

გაზეთ „ფეხბურთის“ ფოტო

მისტერ ნიუკასლის კარაქი და პური



გრემ სუნესი

თბილისის „დინამოს“ ზეგინდელმა მეტოქემ „ნიუკასლმა“ პრემიერლიგის ბოლო ტურში სტუმრად წაგო „ბოლტონთან“ 1:2, რითაც თავისი ათმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ნიუკასლელთა შოტლანდიელმა მწვრთნელმა, გრემ სუნესმა კი ნამატჩევს თქვა: „გამოწვევისას მაგრად უნდა იდგე, მაგრამ „ბოლტონთან“ ასე არ მოხდა და გაწბილებულნი ვართ. თავს კარგად ვიცავდით, მაგრამ ორი ძალიან, ძალიან ჩხინკი გოლი გავუშვით. ჩემი არცერთი მოთამაშის მიმართ კრიტიკული არ ვარ, მაგრამ ჩემი ფეხბურთელებისგან უფრო მეტს ველი“.

გუშინ კი სუნესმა რადიო BBC-ის გადაუშალა გული. საქმე ისაა, რომ „ნიუკასლის“ და სრულიად ინგლისის 34 წლის ლეგენდარული მეგოლე ალან შირერი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ პენსიაზე გასვლას აპირებს, ხოლო სუნესი მის კარიერის გაგრძელებაზე დაყოლიებას ცდილობს. მაინც როგორ აპირებს სუნესი, შირერს გადაწყვეტილება გადააფიქრებინოს?

„თუ შირერი მიმდინარე სეზონში ოც და მეტ გოლს გაიტანს, მეტი აღარაფერი იქნება საჭირო, რათა ის დავარწმუნოთ, რომ თამაშს თავი არ დაანებოს. ის გოლებით ცხოვრობს, გოლია მისი კარაქი და პური, მისი საფირმო ნიშანი. ის მისტერ „ნიუკასლია“, მართალი კაცი და მართალი ფეხბურთელი“ — განმარტა სუნესმა.

დავით თავართქილაძე



ალან შირერი: მართალი კაცი და მართალი ფეხბურთელი

ნიუკასლი ამ სეზონში
მეგოლეები

	პ	ა.თ.	ლ.თ	უ.თ	სულ
ალან შირერი	4	0	0	0	7
პატრიკ კლუივერტი	2	0	0	4	6
კრეიგ ბელამი	4	0	0	0	4
ენდრიუ ობრაიენი	2	0	0	0	2
ჯერმენ ჯენასი	1	0	1	0	1
სტივ კარი	1	0	0	0	1
აარონ ჰიუზი	1	0	0	0	1
ნიკი ბათი	1	0	0	0	1
შოლა ამეობი	0	0	1	0	1
რობი ელიოტი	1	0	0	0	1
ლორენ რობერი	1	0	0	0	1
ჯეიმს მილნერი	1	0	0	0	1

პ— პრემიერლიგა; ა.თ.— ასოციაციის თასი;
ლ.თ — ლიგის თასი; უ.თ — უეფას თასი

ყველა ტურნირზე ჩატარებული მატჩების ბალანსი

	თ	მ	ფ	წ	ბ
შინ:	7	5	1	1	16-8
სტუმრად:	8	3	3	2	16-13
სულ:	15	8	4	3	32-21

ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული მატჩი
ჰ. ბნეი იეჰუდა 1:5 ნიუკასლი; 30 სექტემბერი, უეფას თასი

ყველაზე დიდი ანგარიშით წაგებული მატჩი
ასტონ ვილა 4:2 ნიუკასლი; 28 აგვისტო, პრემიერლიგა

ყველაზე უხვგოლიანი მატჩი
ნიუკასლი 4:3 მანჩესტერ სიტი; 24 ოქტომბერი, პრემიერლიგა

გრემ სუნესი ნიუკასლში

	თ	მ	ფ	წ
ყველა ტურნირი	10	7	2	1
პრემიერლიგა	6	3	2	1

საშუალო დასწრება საშინაო თამაშებზე
52 080 მაყურებელი

ინგლისი
პრემიერლიგა. XI ტური
მანჩესტერ სიტი 1:1 ნორვიჩი

გერმანია
II ბუნდესლიგა. XI ტური
მიუნხენი 2:0 დინამო

საფრანგეთი
II დივიზიონი. XIV ტური
კლერმონი 2:1 გენგამი

ჰოლანდია
II დივიზიონი
გადადებული მატჩი
კამბური 0:1 ვენლო

პორტუგალია
სუპერლიგა. VIII ტური
მარიტიმუ 2:0 ბრაგა
სეტუბალი 1:0 გიმარაეში

ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
შელბურნი 3:1 ლონგფორდი

ჩეხეთი
გამბრინუსლიგა. XI ტური
ტეპლიცე 1:0 სლავია

იტალია
სერია B. XI ტური
ტერნანა 0:2 პერუჯა

სერია C1/B. IX ტური
სპალ 1:3 პადოვა

საქართველოს უმაღლესი ლიგა — 16 ჩემპიონატი ლიგა — 13 ტური

მეორე წრე

დინამო	1:2	ტორპედო
სიონი	1:1	ლოკომოტივი
ბათუმი	1:1	ვიტ ჯორჯია
კოლხეთი	2:0	ზესტაფონი
დილა	2:2	თბილისი

ქართველი არს მაგინებელი ფრიად

ისევ გინება, გინება და გინება. მსაჯს აგინებენ, მეტოქე ფეხბურთელს აგინებენ. მიდიხარ მატჩზე, რომ ფეხბურთით ისიამოვნო, ზიხარ, უყურებ და 90 წუთის განმავლობაში გესმის გინება. რა თქმა უნდა, ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ, მაგრამ მაგინებლები რომ არამგინებლებზე მეტნი არიან სტადიონზე, სადავო არ უნდა იყოს. ეს გულშემატკივრობა არაა. მთელი მატჩის განმავლობაში მსაჯებისა და მეტოქის გინებას სჯობს, საკუთარ გუნდს უქომაგო. სჯობს, მაგრამ... „სიონი“ — „ლოკომოტივის“ მატჩზე მავანმა ცრუქომაგმა ბოლნისელ ფეხბურთელებს მეტოქეზე უთხრა, დაამტვრიეთ ეგ კარგიმასქნილებიო. ეს გოგობერიშვილმა გაიგო და ხურდად დაუბრუნა, ვინც მე შემაგინოს, იმის დედაცო — ცრუქომაგის გინება პოლიციელმა შეიტყო და ჟურნალისტთა ლოჟიდან ქვემოთ კოლეგებს ჩასძახა, გაიყვანეთ ან გააჩუმეთ ეგ ავისმთქმელიო. მაგინებელ ბიძაკაცს გაუჯავრდნენ, მან კი გენიალურად უპასუხა — თბილისში ჩემი ნათესავი პოლკოვნიკია და ვერაფერსაც ვერ მიზამთო. სადა ვბანაობთ, ჰა? ბიძაკაცმა ხმა ჩაიწყვიტა, მაგრამ ყველას ხომ ვერ ააკრავ პირზე სკოჩს? არ გინდათ, ბიძიკო, თქვენ ფეხბურთი, იგინეთ და იყავით.



გაორებული მახვილი

ესეც „ტორპედოს“ გაორებული მახვილი, რომელმაც „დინამოსაც“ აგემა თავისი ძალა — მწვრთნელი ოთარ გაბელია და მეგოლე გია მეგრელაძე. გაბელია სასეზონისწინა შეკრებაგაუვლელ გუნდს პირველ-მეორე ადგილებზე ატივტივებს, მეგრელაძეს კი გოლები გააქვს. მას „დინამოსთვის“ არ გაუტანია, მაგრამ ქუთაისელთა მეორე და მატჩის გადამწყვეტი გოლი სწორედ მეგრელაძის ალღოსა და გამჭრიახობას მოჰყვა.

კონსულტანტი და მომავალი მწვრთნელი



ადრეც გაუწყეთ, რომ პერუელი ლუის ცაჯარიასი „თბილისში“ აპირებდა მუშაობას. ცაჯარიასი „დილა“– „თბილისის“ მატჩსაც დაესწრო, ოღონდ უკვე ოფიციალურ რანგში – პერუელი სპეციალისტი „თბილისის“ ჯონსულტანტად დაინიშნა. ისიცაა, რომ „თბილისის“ ახლანდელი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი რამდენიმე თვეში გერმანიაში მიდის სამწვრთნელო საქმის შესასწავლად და შესაძლოა, მისი წასვლის შემდეგ „თბილისი“ ცაჯარიასმა გაწვრთნას.

გორზე დღესაც ილაპარაკებენ

თუ „დილა“ გორში ფხას გამოიჩენს, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი გრგვინავს — „დილა“ — „თბილისზე“ ხუთასიოდე მაყურებელი თუ იყო, მაგრამ „დილამ“ მეტოქეს 0:2 ამოუქაჩა და სტადიონიც აძიგძიგდა. გარდა იმისა, რომ თანამსაჯ არსენ ნონიკაშვილს ქვა ესროლეს, მატჩის დამთავრებიდან წამებში „თბილისის“ ორი ფეხბურთელი — გოჩა ხოჯავა და დავით ოდიკაძე — გორელ გულშემატკივრებს წამოეჭიმა, რატომ შეგვაგინეთო. დღეს პროფლიგის სადისციპლინო კომიტეტი გორში მომხდარ ამბებს განიხილავს და ალბათ არცთუ რბილ ვერდიქტებს გამოიტანს.

მომდევნო ტური

7 ნოემბერი

კვირა

ლოკომოტივი – კოლხეთი

ტორპედო – დილა

ზესტაფონი – დინამო

თბილისი – ბათუმი

ვიტ ჯორჯია – სიონი

დინამო	13	8	2	3	28:16	26
ტორპედო	13	7	5	1	19:7	26
თბილისი	13	7	3	3	28:15	24
ბათუმი	13	6	4	3	19:9	22
ვიტ ჯორჯია	13	6	3	4	24:18	21
ლოკომოტივი	13	5	6	2	17:7	21
კოლხეთი	13	3	2	8	10:21	11
სიონი	13	3	2	8	12:29	11
ზესტაფონი	13	3	1	9	9:30	10
დილა	13	2	2	9	10:24	8

ბომბარდირები

8-ბობოხიძე	*ლოკომოტივი*
7-მეგრელაძე	*ტორპედო*
მერებაშვილი	*ვიტ ჯორჯია*
6-ჭელიძე	*ბათუმი*
ფელქაძე	*დინამო*

სიმბოლური ნაკრები

- გია მეგრელაძე — *ტორპედო*
- ირაკლი სირგილაძე — *ლოკომოტივი*
- გოჩა ხოჯავა — *თბილისი*
- დავით ზაზაშვილი — *სიონი*
- გაგა მძინარიშვილი — *დილა*
- გია ნერგაძე — *ტორპედო*
- შოთა გაგუნაშვილი — *ტორპედო*
- ლევან აკობია — *კოლხეთი*
- ნიკა გუშარაშვილი — *ბათუმი*
- დავით გამეზარდაშვილი — *ტორპედო*
- ზვიად სტურუა — *ტორპედო*

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

დავით ყიფიანის თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

გორი. 2 ნოემბერი. 13.30 საათი. ქარელი

ცხინვალი — კოლხეთი (0:4)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); კ. ბერაძე (თბილისი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ძაბუკიანი. 3 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

ჭაბუკიანი — ვიტ ჯორჯია (0:6)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ხ. გაგნიძე (ორივე გორი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

თბილისი. 3 ნოემბერი. 13.30 საათი. სინათლე

პრემა — ბათუმი (0:1)

მსაჯები: ა. შილაკაძე; დ. ხარიტონაშვილი, ვ. ბეუქლიშვილი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. 3 ნოემბერი. 13.30 საათი. ნორჩი დინამოელი

მერანი — ტორპედო (0:4)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი), დ. კურტანიძე (სურამი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

გორი. 3 ნოემბერი. 13.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — თბილისი (0:2)

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. აფციაური (დუშეთი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. 3 ნოემბერი. 13.30 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — სპარტაკი (2:1)

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. კეტაშვილი

ზესტაფონი — დინამო

გადაიდო

თბილისი. 3 ნოემბერი. 13.30 საათი. ფკ ამერის სკოლა

ამერი — სიონი (3:2)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

„სიონი“ — „ამერი“ 2:3. მერვედფინალის პირველ მატჩში ბოლნისელები დავით სვანსტოპულომაც დაამწუხრა

ფეხბურთი

ფკ ამერის სკოლა

საქართველოს თასი

3 ნოემბერი

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

ამერი — სიონი

თბილისი — ბოლნისი

დასაწყისი 13.30 საათზე.

დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულას გადასახვევთან)

მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში

საიტზე: www. fcameri.ge

კობი და შალკე: ჩვენებში ცალკე

ევროპული საფეხბურთო უქმეების ქართველი გმირი ლევან კობიაშვილია. გელზენკირხენის „შალკეს“ საყრდენი ნახევარმცველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო „შტუტგარტთან“ ჯახში და საერთოდაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ „კობი“ ქართველთაგან ყველაზე გამორჩეულია. კობიაშვილმა ამ სეზონში მეორე გოლი გაიტანა და „შალკეს“ მოგებას საფუძველი ჩაუყარა.

საინტერესოა ისიც, რომ რამდენიმე ტურის წინ გასავარდნ ზონაში ჩაფლული „ხუმარები“ უკვე მეორე ადგილზე არიან და ოდენ სამი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ „ვოლფსბურგს“, რომელიც, ჩვენებურის აზრით, ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს ბუნდესლიგაში.

კვლავ ჩაყვინთა „ფრაიბურგმა“. წინა ტურში იმავ „შტუტგარტის“ მძლეველი ფრაიბურგელები ამჯერად „ჰერტამ“ დაჩაგრა. *ალექსანდრე იაშვილი* 63-ე წუთზე შეცვალეს, *ლევან ცქიტიშვილი* კი ჯერაც ტრავმას იშუშებს — მის დაბრუნებას უახლოეს ტურებში ელიან. ამასობაში „ფრაიბურგი“ მე-17 ადგილზეა და ერთ-ერთ „საფუძვლიან“ აუტსაიდერად მიიჩნევა.

სეზონის უმთავრესი მატჩი მოიგო „სკონტომ“. ლიდერ „მეტალურგსთან“ სტუმრად ფრის შემთხვევაშიც კი რიგელებს ოქროს მედლებზე ოცნებაღა თუ დარჩებოდათ. თან „მეტალურგსმა“ პირველ ტაიმში ორი უპასუხო გოლი გაიტანა და...

მოკლედ, „სკონტო“ თითქმის გამოუვალ სიტუაციაში იყო, მაგრამ *ლევან კორღალიძის* გარჯამ შედეგი მოიტანა. ჩვენებური მაშინ შევიდა მოედანზე, როცა ანგარიში 2:2 იყო. ჰოდა, 88-ე წუთზე ციბრუტივით დატრიალებულ კორღალიძეს ლიეპაიელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს, ლევანმა „კედელი“ გაითამაშა თანაგუნდელთან, რომელმაც ვიშნიაკოვსი მოძებნა და — 3:2. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბოლო წუთზე მასპინძლებმა პენალტი გააცუდეს. ამ მოგებით „სკონტო“ „მეტალურგს“ ქულებით გაუთანაბრდა და ახლა ლატვიაში „ოქროს მატჩს“ ელიან, ოღონდ ისეთს არა, ჩვენთან რომ იყო...

საჩემპიონო შანსი დაიბრუნა მოსკოვის „ლოკომოტივმაც“. რკინიგზელებმა პერმში „ამკარი“ 1:0 დაამარცხეს და „კრილია სოვეტოვთან“ დაზავებულ ლიდერ ცეესკას ქულით მიუჩოჩდნენ. „ამკართან“ სრულად და საიმედოდ ითამაშა *მალხაზ ასათიანმა*, რომლის სათამაშო პოზიციაზე კომენტარის გაკეთებას უკვე საჭიროდ აღარ ვთვლით.

როგორც იქნა, გაისროლა „რეინჯერსმაც“. „ჩაფრებმა“ 5:0 გადაურბინეს „აბერდინს“ და ამ საქმეში თავისი წილი *ზურაბ ხიზანიშვილმაც* დაიდო. სწორედ „ხიზანას“ პასით გააკეთა დუბლი ნაჩო ნოვომ, ვისაც ჩვენებურთან ერთად „დანდიშიც“ უთამაშია. ზურამ სრულად ითამაშა, *შოთა არველაძე* კი სათადარიგო იყო.

მოგებათა სერიას აგრძელებს „ანართოსისი“. ქართველებით გავსებულ ფამაგუსტელებს ამჯერად „აშნა“ შემოემარცხათ — 2:0. „ანართოსისის“ რიგებში მხოლოდ სამმა ქართველმა ითამაშა და ამათგან *კლიმენტი წიტაიშვილმა* გაიტანა. მოთამაშე მწვრთნელმა *თემურ ქეცბაიამ* კი ბოლოხანს დამკვიდრებული ტრადიცია არ დაარღვია და *გიორგი ქინქლაძე* თავის ნაცვლად შეუშვა მოედანზე.

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	სამპდორია 1:0	0	სათადარიგო	4	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	შტუტგარტი 3:2	90	1 გოლი	9	2	2
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 1:3	63	გააფრთხილეს, შეცვალეს	9	1	17
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 1:3	0	ტრავმირებულია	7	1	17
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	შ	ბურგჰაუზენი 2:0	82	შეცვალეს	7	1	9
დავით სირაძე	ტრირი	შ	კოტბუსი 2:1	6	შეცვლაზე ითამაშა	4	0	7
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	შ	აბერდინი 5:0	0	სათადარიგო	10	2	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	შ	აბერდინი 5:0	90	საგოლე პასი	7	0	2
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	რაპიდი 0:2	69	შეცვალეს	14	2	9
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ამკარი 1:0	90		20	1	2
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ამკარი 1:0	0	ტრავმირებულია	13	0	2
რატი ალექსიძე	როსტოვი	ს	შინიკი 0:1	0		7	0	14
მამუკა ლომიძე	როსტოვი	ს	შინიკი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	14
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	ტორპედო 2:3	0	განაცხადში არ იყო	6	1	11
ლევან გვაზავა	ალანია	ს	ტორპედო 2:3	0	სათადარიგო	18	1	11
მიხეილ ყაველაშვილი	ალანია	ს	ტორპედო 2:3	0	ტრავმირებულია	6	1	11
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	ს	როტორი 0:0	18	შეცვლაზე ითამაშა	12	0	12
დავით ნაკანი	ტორპედო	შ	ალანია 3:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	შ	სოკოლი 1:1	0	დისკვალიფიცირებული იყო	17	0	8
კახა მუავანაძე	ანჟი	შ	სოკოლი 1:1	90		29	0	8
ედიკ საჯაია	არსენალი	შ	ორიოლი 4:0	90		27	0	11
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	შ	ურალანი 1:0	90		29	5	18
რევაზ გოცირიძე	კამაზი	შ	დინამო (მ) 1:1	34	შეცვლაზე ითამაშა	14	0	4
ზაზა ჯანაშია	ბალტიკა	შ	ლუჩ-ენერგია 3:2	0		10	2	20
თემურ გადელია	ბალტიკა	შ	ლუჩ-ენერგია 3:2	90	1 გოლი, გააფრთხილეს	13	3	20
რომან ახალკაცი	ბალტიკა	შ	ლუჩ-ენერგია 3:2	79	შეცვალეს	16	0	20
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	მორდოვია 1:0	90		2	0	5
ვალერი აბრამიძე	ხიმკი	ს	მორდოვია 1:0	90		8	0	5
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	ტერეკი 4:3	90	1 გოლი	17	4	17
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	შ	ტავრია 2:1	0		8	0	3
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	ტავრია 2:1	90		11	3	3
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	ს	მ. ზაპოროჟიე 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ზურაბ იონანიძე	ტავრია	ს	მ. დონეცკი 1:2	0		7	1	15
გია ჭანტურია	ტავრია	ს	მ. დონეცკი 1:2	0		2	0	15
კახა ჩხეტიანი	ტავრია	ს	მ. დონეცკი 1:2	0	განაცხადში არ იყო	4	0	15
ვასილ გიგიაძე	ტავრია	ს	მ. დონეცკი 1:2	90		10	5	15
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	შ	ზაკარპატიე 1:0	79	შეცვალეს	10	1	5
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	დინამო 0:2	90	გააფრთხილეს	5	2	12
ლაშა ჭელიძე	მ. ზაპოროჟიე	შ	დინამო 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	12
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ირაკლი ვაშაკიძე	არისი	შ	აეკ 1:1	29	შეცვლაზე ითამაშა	3	0	15
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	ეგალეო 1:1	90		6	0	4
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი დიდავა	ქოჯაელი	შ	ქარშიაქა 1:0	0	ტრავმირებულია	6	0	6
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	პლოცკი	შ	ზაგლებე 2:0	90		10	0	5
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო	ს	მეტალურგსი 3:2	16	შეცვლაზე ითამაშა	10	3	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	მეტალურგსი 3:2	90		19	3	2
გიორგი ყიფიანი	სკონტო	ს	მეტალურგსი 3:2	0		8	2	2
ალექსანდრე რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	ს	დიტონი 4:0	79	შეცვალეს	9	1	3
თამაზ პერტია	დინაბურგი	ს	აუდა 3:0	90		23	1	4
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	შ	ლიტექსი 3:1	89	გააფრთხილეს, შეცვალეს	10	4	1
კოტე დარსანია	ჩერნო მორე	ს	სპარტაკი 0:1	32	შეცვლაზე ითამაშა	4	1	7
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	ს	სპარტაკი 0:1	0		4	0	7
ლევან კაპანაძე	ბელასიცა	ს	ლოკომოტივი 0:3	0		0	0	10
ლევან მიქაძე	ბელასიცა	ს	ლოკომოტივი 0:3	0		0	0	10
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	შ	აშნა 2:0	56	შეცვალეს	5	1	2
გიორგი ქინქლაძე	ანართოსისი	შ	აშნა 2:0	34	შეცვლაზე ითამაშა	4	0	2
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	შ	აშნა 2:0	76	1 გოლი, შეცვალეს	6	2	2
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	შ	აშნა 2:0	0		2	0	2
დავით ჩალაძე	ანართოსისი	შ	აშნა 2:0	0		3	0	2
ლევან ქებაძე	პარალიმნი	შ	ალკი 1:1	90		6	2	11
გიორგი ანჩაბაძე	პარალიმნი	შ	ალკი 1:1	90		6	1	11
ზვიად ლაბაძე	არისი	შ	ოლიმპიაკოსი 1:5	0		1	0	14
გიორგი ქორიძე	ოლიმპიაკოსი	ს	არისი 5:1	16	შეცვლაზე ითამაშა	2	0	9

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

სერ ალექს ფერგიუსონი აღარ ჩერდება და სურს, ბოლომდე დააშამათოს „არსენალი“, რომელმაც მანჩესტერში წაგებული მატჩის შემდეგ ხმაური ატეხა, გვამტვრევდნენო





სირცხვილის დოსიე

სერ ალექსი მეთოფეებს უმიზნებს

ფერგიმ ასე არ უნდაო და მთელი საქმე შექმნა ამ მატჩში „მეთოფეთა“ უხეშობის შესახებ და ფეხბურთის ასოციაციაში ტიერი ანრის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვს, გაბრიელ ჰაინცეს თავში მუხლი სთხლიშაო. ამას ის საჩივარიც დაერთო, რომელშიც აღწერილია ამბავი, თუ როგორ შეასხა „ოლდ ტრეფორდის“ გასახდელთან სერ ალექსს ტომატის წვნიანი მავანმა არსენალელმა ფეხბურთელმა და როგორ ესროლა მას პიცა.

გუშინ კი ფერგიუსონმა კიდევ ერთი „მეთოფე“ ამხილა: მან ასოციაციას დენის ბერხკამპის მიერ ალან სმიტის მიჩეხვის მცდელობის ამსახველი ვიდეოფირი გაუგზავნა — ბერხკამპი ჯერ ხელს ურტყამს სმიტს, მერე კი ცდილობს დააბიჯოს მას.

ფერგიუსონი ძალიან გაბრაზებულია მატჩისშემდგომი ამბებით და არსენ ვენგერის განცხადებით, თამაში წაგვაგებინესო და ამიტომაც ჰქმნის, მისი სიტყვებით „სირცხველის დოსიეს“. ეშმაკ ფერგის სურს, რომ „არსენალს“ მწარედ მოხვდეს ამ მატჩის შემდეგ და სჯერა, რომ ასოციაცია, რომელიც ადრე ლმობიერი იყო „მეთოფეთა“ მიმართ და მსუბუქი სასჯელები არგუნა მათ შარშანდელი სკანდალური მატჩის შემდეგ, უფრო მკაცრი უნდა იყოს.

წლევანდელი მატჩის გამო კი უკვე სამი მატჩით დასჯილია რუუდ ვან ნისტელროი, რომელსაც ვენგერმა „თაღლითი“ უწოდა.

„არსენალში“ აშკარად არ სიამოვნებთ საქმის ამგვარი განვითარება. ვენგერი ამბობს, რომ დროა ფერგიმ შეწყვიტოს თავისი საჩივრები და გაუთავებელი ლაპარაკი: „ჩვენ ისე ვიქცევით მოედანზე, როგორც ვიქცევით. ჩვენ პასუხს ვაგებთ მოგებასა და წაგებაზე და არა იმაზე, რაც ითქმება. მეტს აღარაფერს ვიტყვი. ეს საქმე ჩემთვის დამთავრებულია“.

თუმცა, ეს მხოლოდ „მეთოფეთა“ სურვილ ჩანს, მცოდნეთა აზრით, ფერგიუსონი კიდევ რამდენიმე კვირით გააგრძელებს ამ სკანდალს. თანაც, მან არსენალური ჭორებიც იცის: რობერ პირესსა და არსენ ვენგერს საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკთან კონფლიქტი აქვთ და მტრის ბანაკში მონასტრის არევა ფერგის ხელს აძლევს. მეორეს მხრივ კი, სერ ალექსმა მშვენივრად იცის: ასოციაცია მხოლოდ იმ საქმეებს განიხილავს, რომლებიც მატჩის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში შევა. ამიტომაც, სერ ალექსი უფრო მედია-კამპანიას აგორებს, ვიდრე ჩივის და ამით „მეთოფეებს“ ნერვებს უშლის.

ირაკლი გამყრელიძე



ალექს ფერგიუსონის სამხილები: ასე წიხლაობდა ტიერი ანრი

რა შუაშია ტრეფოლონი?

ვერონმა მსაჯი მანჩინისგან დაიცვა



საოცარი რამ გააკეთა „ინტერისა“ და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველმა ხუან ვერონმა — თავისი მწვრთნელის, რობერტო მანჩინის პოზიცია გააკრიტიკა. შეგახსენებთ, რაც ხდება: შაბათს, სერია A-ს მეცხრე ტურში „ინტერმა“ „ლაციოს“ უმასპინძლა და, მართალია, 1:0-ს უგებდა, მაგრამ თამაშის მიწურულს გოლი გაუშვა — უკვე მეშვიდე ფრე ითამაშა. ერთი სიტყვით, განმეორდა ის, რაც ამ სეზონში ტრადიციად ექცა: ფრედ თამაში არა იმიტომ, რომ დაცვაში იკეტება და ფრისთვის თამაშობს, არამედ იმიტომ, რომ შეცდომები დაუშვა, თორემ უტევდა და იგებდა. თუმცა ამ ჯერზე მწვრთნელმა მანჩინიმ (ალბათ იმიტომაც, რომ „ლაციო“ მისი ყოფილი გუნდია, რომელსაც კონფლიქტით გაშორდა და მასთან მოგება ორმაგად უნდოდა) ძირითადად ცუდ მსაჯობაზე გაამახვილა ყურადღება. მანჩინი ამტკიცებდა, რომ მატეო ტრეფოლონიმ ის ჯარიმა, რომლიდან ჩაწოდებული ბურთიც არგენტინელმა ხოსე ლეონარდო ტალამონტიმ შეაგდო, შეცდომით დანიშნა, თორემ ეს შეცდომა რომ არა, მისი გუნდი გაიმარჯვებდა.

„სხვათა დადანაშულება ვერავის ვერაფერში დაეხმარება — თქვა ვერონმა — ტრეფოლონი იქით იყოს და ჩვენ ჩვენი შეცდომების დამლვას არ უნდა ვერიდოთ. ცუდად არ ვთამაშობთ და გოლებიც გაგვაქვს, ოღონდ ყოველთვის ერთი და იგივე რამ გვემართება, საკუთარი დაუდევრობით გამარჯვებას ხელიდან ვუშვებთ. ჩვენ თამაშის წარმატებით დამთავრება უნდა ვისწავლოთ. საუბედუროდ, კონკრეტულ სიტუაციებში ყურადღება გვეფანტება და იმწუთას ვისჯებით ხოლმე. ამჯერად, საერთოდაც ცოტა უფრო ცუდად ვთამაშეთ, ვიდრე ვთამაშობთ ხოლმე, თუმცა ისტორია მაინც იგივე განმეორდა, ვგებდით და ეს უპირატესობა ხელიდან არ უნდა გაგვეშვა“.

აქვე დავძინოთ, რომ რობერტო მანჩინი მიუხედავად კარგი მწვრთნელობისა და და პოპულარობისა, ჯერ კიდევ „ლაციოს“ სათავეში ყოფნის დროსაც ვერ იკავებდა მსაჯების (და ხანდახან მეტოქეებისაც კი) კრიტიკისგან თავს, ასე რომ, „სამპდორიასა“ და თავად „ლაციოს“ ყოფილი ფორვარდისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის.

პაპუნა კედია

ფიფას კონფედერაციის თასი 2005

A ჯგუფი

გერმანია, ავსტრალია, არგენტინა, ტუნისი

15.06.2005	კიოლნი	არგენტინა — ტუნისი
15.06.2005	ფრანკფურტი	გერმანია — ავსტრალია
18.06.2005	კიოლნი	გერმანია — ტუნისი
18.06.2005	ნიურნბერგი	ავსტრალია — არგენტინა
21.06.2005	ლაიპციგი	ავსტრალია — ტუნისი
21.06.2005	ნიურნბერგი	არგენტინა — გერმანია

B ჯგუფი

ბრაზილია, საბერძნეთი, იაპონია, მექსიკა

16.06.2005	ჰანოვერი	იაპონია — მექსიკა
16.06.2005	ლაიპციგი	ბრაზილია — საბერძნეთი
19.06.2005	ჰანოვერი	მექსიკა — ბრაზილია
19.06.2005	ფრანკფურტი	საბერძნეთი — იაპონია
22.06.2005	ფრანკფურტი	საბერძნეთი — მექსიკა
22.06.2005	კიოლნი	იაპონია — ბრაზილია

ნახევარფინალი

25.06.2005 ნიურნბერგი — **B1-A2**

26.06.2005 ჰანოვერი — **B2-A1**

მატჩი მესამე ადგილისთვის

29.06.2005 ლაიპციგი

ფინალი

29.06.2005 ფრანკფურტი

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

E ჯგუფი

არსენალი — პანათინაიკოსი

სავარაუდო შემადგენლობები

ლემანი, ლორენი, სიგანი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, რეიესი	ხალკიასი, ჰენრიკსენი, კირიაკოსი, ვინტრა, მორისი, სკაჩელი, ბასინასი, კონსტანტინიდისი, ე. გონსალესი, პაპადოპულოსი, კონსტანტინუ

მსაჯი: ლუის მედინა ჯანტალეხო (ესპანეთი)

პსვ — რუსენბორგი

სავარაუდო შემადგენლობები

ზუტებირი, ლუსიუსი, ბუმა, ალექსი, ი. ლი, ჩ. ფეჰერი, კოკუ, ვან ბომელი, ბესლი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი	ე. იონსენი, ჰოფტუნი, ჰანსენი, ვინსნესი, სტრანდი, რასელი, სოლი, სტენსაასი, ფ. იონსენი, სტორფლორი, ბრაატენი

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)



ტიერი ანრიმ (შუაში) და „არსენალმა" დღეს ბერძნებს მოვუგებთო

რუსენბორგი ჩადგმით

ეინდჰოვენი ცხელ ჩემპიონს გასინჯავს

„რუსენბორგი" გასულ უქმეებზე ნორვეგიის ჩემპიონი გახდა და ეინდჰოვენს მოოქროვილი ეწვევა. ამ გუნდების ორი კვირის წინანდელი შეხვედრა პსვ-ს გამარჯვებით დასრულდა. პსვ-მ ბოლო ტურში „უტრეხტთან" სტუმრად უგოლო ფრე ითამაშა, „რუსენბორგმა" კი საჩემპიონო მატჩში „ლინი" დაამარცხა 4:1.

ნორვეგიელებს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ჯერ არ დაუჭაშნიკებიათ და ეინდჰოვენის „ფილიპსზე" დღეს თუ მოიგებენ, მერვედფინალში გასვლის შანსს გაიცოცხლებენ.

აღსანიშნავია, რომ პსვ-მ ბოლო შვიდი საევროთასო საშინაო მატჩიდან ექვსი მოიგო და მხოლოდ ერთხელ დაუზავდა მეტოქეს, ხოლო „რუსენბორგმა" სტუმრად ევროთასებზე ბოლო 14-დან 13 წაგო და ერთი ფრე გაახერხა. ეს ფრე ნორვეგიელებმა ორი წლის წინ ამსტერდამში „აიაქსთან" გაჩარხეს.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჟი სუნ პარკი ვერ დაეხმარება. ბრაზილიელი ლეგიონერი აურელიო გომეში ტრავმირებულია, ხოლო მარკ ვან ბომელისა და ალექსის თამაში საეჭვოა.

„რუსენბორგს" ვიდარ რისეტი და ორიან ბერგი დააკლდებიან.

ლონდონის „არსენალი" „პანათინაიკოსს" მასპინძლობს, რომელსაც წინა ტურში სტუმრად ორჯერ უგებდა, მაგრამ საბოლოოდ ათენიდან მხოლოდ ქულა წაიღო. პრემიერლიგის ლიდერი გასულ უქმეებზე შინ მოულოდნელად „საუთჰემპტონს" დაუზავდა, ხოლო „პანათინაიკოსმა" „პანიონიოსს" სძლია.

„მეთოფეებს" სოლ კემპბელი, ჟილბერტო სილვა და გაელ კლიჩი ჰყავთ ტრავმირებული. ხოსე ანტონიო რეიესმა თუ ვერ ითამაშა, მის ადგილს ალბათ რობინ ვან პერსი დაიკავებს, რომლის გოლმაც ვენგერი „საუთჰემპტონთან" მარცხისგან იხსნა. „არსენალი" და „პანათინაიკოსი" აქამდე შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და „მეთოფეებმა" ხუთჯერ იმარჯვეს. ბერძნულ გუნდს ინგლისელებთან ზოგადად უარყოფითი ბალანსი აქვთ, რაკი 15 დაპირისპირებიდან გამარჯვებული მხოლოდ ერთხელ გამოსულა.

„პანათინაიკოსს" ოთხი დაშავებული ფეხბურთელი დააკლდება — მარკუს მიუნხი, იოანის გუმასი, სრდან ანდრიჩი და ლუსიან სანმარტიანი. სტუმრებს მეგოლე დიმიტრიოს პაპადოპულოსი გამოუკეთდათ და იგი დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ვაჟა ხუციშვილი

პსვ ეინდჰოვენი	3	2	0	1	3:2	6
არსენალი	3	1	2	0	4:3	5
პანათინაიკოსი	3	1	1	1	4:4	4
რუსენბორგი	3	0	1	2	3:5	1

F ჯგუფი

ბარსელონა — მილანი

სავარაუდო შემადგენლობები

ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მარკესი, დეკო, ჟიული, რონალდინიო, ეტოო	დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, ქალაძე, გატუზო, პირლო, რუი კოშტა, კაკა, შევჩენკო, ტომასონი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

სელტიკი — შახტარი

სავარაუდო შემადგენლობები

მარშალი, აგატი, ბალდე, ვარგა, მაკნამარა, ლენონი, პეტროვი, ჟუნინიო პაულისტა, ტომპსონი, ჰართსონი, ა. კამარა	ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, სრნა, ტიმოშჩუკი, დულიაი, მატუზალემი, ვუკიჩი, ვორობეი, მარიკა

მსაჯი: ერიჯ ჰულა (საფრანგეთი)

მოდიან? დავხვდებით!

თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება

ორი კვირის წინ „მილანმა" კატალონიური „ბარსელონა" ანდრეი შევჩენკოს გოლით „სან სიროზე" 1:0 დაამარცხა და იგივეს გაკეთებას დღეს საღამოსაც ეცდება, ამჯერად „კამპ ნოუზე". ამას მოწმობს „შავწითლების" მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის სიტყვებიც, მალპენსას აეროპორტში ესპანეთში გაფრენამდე რომ უთხრა ჟურნალისტებს: „კამპ ნოუზე" უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ და უნდა მოვიგოთ. ამის თქმის საფუძველს ბიჭების განწყობა მაძლევს. მერვედფინალში გასვლა ორი ტურით ადრე უნდა დავიბეგოთ".

უძლიერესი შემადგენლობითო, თქვა ანჩელოტიმ და კატალონიის დედაქალაქში 21 ფეხბურთელი ჩაიყვანა. ჩვენდა გასახარად, სავარაუდო თერთმეტეულში მოხსენიებულია საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე.

თქმა არ უნდა, არანაკლები მოტივაციით, გამარჯვების, რევანშის აღების წყურვილით გავა „ბარსა" მინდორზე და ფრანკ რაიკარდიც, გუნდის ჰოლანდიელი მწვრთნელი, ტრავმისგან საბოლოოდ მოკეთებულ ფრანგ გარემარბ ლუდოვიკ ჟიულის ათამაშებს.

სამაგიეროდ, საეჭვოა ბრაზილიელი მარჯვენა მცველის, ჟულიანო ბელეტის ხილვა. მას მცირე ტრავმა აწუხებს და თუ ვერ მომჯობინდა, მის ადგილას ახალგაზრდა დამია დადგება, რომელმაც ბარსელონური დებიუტი უკვე მოიწყო გასულ შაბათს, ბილბაოში, როცა პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში „ბარსელონა" იქაურ „ათლეტებს" 1:1 დაუზავდა.

ბევრის აზრით, დღევანდელი ჯაბი ორი ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ფორვარდის, კამერუნელი სამუელ ეტოოსა და უკრაინელი ანდრეი შევჩენკოს პირად დუელადაც უნდა იქცეს. ეტოო ამბობს: „ცხადია, შევჩენკო მაგარია. ერთ უნებლიე შეცდომასაც არ გაპატიებს. იმედი მაქვს, ჩვენი მცველები ახლა მაინც გაჩერებენ".

ეტოოს ეთანხმება „ბარსელონას" მეკარე ვიქტორ ვალდესი და დასძენს: „მილანი" უეჭველად აქაც მოსაგებად მოდის. მაგრამ ჩვენ რისთვის გავდივართ მოედანზე? ყველას დავუმტკიცებთ, იტალიელებზე მეტი თუ არა, ნაკლებნი არაფრით ვართ".

ახლა ტრავმირებულებზეც ვთქვათ: „ბარსელონას" ასეთი ექვსი (სილვინიო, მოტა, ედმილსონი, გაბრი, ხერარდი, ხორკერა) ჰყავს, „მილანს" კი ოთხი (სტამი, კოსტაკურტა, ინძაგი, დორასო).

მსაჯი შვეიცარიელი ურს მაიერია, ხოლო ამ დიდი მატჩის 98 ათასივე ბილეთი ერა ხანია, გაყიდულია.

ერთი სიტყვით, დღეს, ჩვენი დროით თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი უკლია...

ჯგუფის მეორე შეხვედრის წინ კი გლაზგოელთა მწვრთნელი მარტინ ონილი ამბობს, უკრაინელებს ორი კვირის წინანდელ სირცხვილს ცხვირში ძრად ამოვადენთო და „სელტიკ პარკზეც" ერთბაშად ხუთი შემტევით აპირებს სტუმართა გაბდღვნას — ჟუნინიო პაულისტა, ალან ტომპსონი, ჯონ ჰართსონი და ანრი კამარა (ეგებ ეიდენ მაკგიდიც) კბილებს ილესენ.

სამაგიეროდ, მეტოქეს არ უფრთხის „შახტარის" რუმინელი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ, თუ ბიჭებმა ჩემი დავალება ზუსტად შეასრულეს, შოტლანდიაში არ წავაგებთო, იქადნება რუმინელი.

ონილის გასახარად გამოჯანმრთელდა მცველი ჯეკი მაკნამარა, მაგრამ, საუბედუროდ, დამტვრეულია კრის სატონი.

ორი კვირის წინანდელი დონეცკური მატჩის დუბლის ავტორი, ბრაზილიელი ფრანსელინო მატუზალემი ამბობს, კარგი იქნება, თუ ივივეს გლაზგოშიც მოვახერხებ, მაგრამ, ცხადია, გამიჭირდებაო.

„შახტარს" მარცხენა მცველი რაზვან რაცი ჰყავს დაშავებული. საეჭვოა კიდევ ერთი ბრაზილიელის, თავდამსხმელ ბრანდაოს თამაში, მას მუხლი ჯერ კიდევ სტკივა.

გიორგი ვაუბაკიძე

მილანი	3	3	0	0	5:1	9
ბარსელონა	3	2	0	1	6:2	6
შახტარი	3	1	0	2	3:4	3
სელტიკი	3	0	0	3	2:9	0





ამბობენ, „ბარსა" — „მილანი" სამუელ ეტოოსა და ანდრეი შევჩენკოს დუელი იქნებაო

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

G ჯგუფი

ვერდერი — ანდერლეხტი

სავარაუდო შემადგენლობები

რაინკე, სტალტერი, ბაუმანი, ისმაელი, შულცი, იენსენი, ერნსტი, მანინი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი	პეერსმანი, ვანდენ ბორე, ლ. ტრაორე, დე ბუკი, დეშახტი, მპენზა, ჰასი, ბასეჯიო, ვილჰელმსონი, ზეტერბერგი, დინდანე

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

ინტერი — ვალენსია

სავარაუდო შემადგენლობები

ფონტანა, ზე მარია, კორდობა, მატერაცი, ხ. ძანეტი, ვან დერ მეიდე, ვერონი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ვიერი, მარტინსი	კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, ბარახა, რუფეტე, ალბელდა, მისტა, ანგულო, დი ვაიო

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

კრისტიან ვიერი „ინტერის“ ძირითადში ითამაშებს

სათქმელად იოლია

დღეს, დიდი შანსია, „ინტერმა“ თავი მერვედფინალში დაიგულოს. ამისთვის მილანელებმა „ვალენსია“ უნდა დაამარცხონ. რატომაც არა? ორი კვირის წინ არ იყო, „მესტალიაზე“ ხუთი გოლი რომ გაუტანეს?

გამარჯვება სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი „ინტერისთვის“. მას მერე, რაც სანსიროელებმა სერია A-ს ცხრა ტურში შვიდი ფრე გააგორეს და ლიდერ „იუვენტუსს“ თორმეტი ქულით ჩამორჩნენ, გულშემატკივრებმა მანჩინის ბიჭებს ცოტა არ იყოს, ამრეზით დაუწყეს ყურება.

ახლა მეორე მხარეს გავიხედოთ, სადაც კლაუდიო რანიერის რისხვა დასტეხია თავს. „ვალენსია“, რაც რაფაელ ბენიტესი წაუვიდა, ჩემპიონ გუნდს აღარ ჰგავს და სამივე ფრონტზე ჭაკად მისდის საქმე — სამეფო თასიდან უკვე გავარდა, პრიმერაში ლიდერს გვარიანად ჩამორჩება, ლიგაშიც ჯგუფიდან გასვლის ფავორიტი აღარ არის. კი, დღევანდელი მატჩის წინ რანიერი ამბობს, მოგება თუ გვინდა, „სან სიროზე“ ბრწყინვალე თამაშის ჩვენება გვმართებსო, მაგრამ სათქმელად იოლია, გასაკეთებლად, რა მოგახსენოთ.

— მათ (ინტერელებმა) „მესტალიაზე“ დაგეჩაგრეს, ახლა კი ჩვენ ჩავალთ მათთან და დიდი ბრძოლას გავუმართავთ — ესეც დააყოლა რანიერიმ.

დღეს „ვალენსიას“ მუხლმტკივანი რობერტო აიალა, კოჭმტკივანი ვისენტე და ტვინშერყეული პაბლო აიმარი არ ეყოლება. აიმარის ამბავი გუშინ მოგახსენეთ, „ატლეტიკოსთან“ მატჩისას თავში ისეთი უთავაზეს, ერთ ხანს მახსოვრობაც დაკარგული ჰქონდა.

არანაკლები ხალხი აკლია „ინტერსაც“. სინიშა მიხაილოვიჩი რვამატჩიანი დისკვალიფიკაციის ბოლო თამაშს გამოტოვებს. ძველი ვალენსიელი კილი გონსალესი, ნიკოლას ბურდისო და ჯუზეპე ფავალი დაშავებულები არიან. ზურგს იტკიებს ემრე ბელოზოღლუ, მუხლი სტკივა კარლოს გამარას, მაგრამ ამ ორის თამაში გამორიცხული მაინც არ არის.

„ინტერის“ გამარჯვებაზე „ვერდერიც“ ყაბულს უნდა იყოს. რატომაც არა — დღეს გერმანელები „ანდერლეხტს“ თუ სძლევენ, დარჩენილ ორ ტურში ერთი ქულაც ეყოფათ ჯგუფიდან გასასვლელად, იმ ორი მატჩიდან ერთი კი. უმოტივაციო „ინტერთან“ ექნება.

მაგრამ პირველ რიგში ბრემენელებმა ბრიუსელელები უნდა დაამარცხონ.

ეს საშური საქმე „ვერდერმა“ მუხლმტკივანი ფრანკ ფარენჰორსტისა და ხელმოტეხილი გუსტავო ნერის გარეშე უნდა შეძლოს. ამათ გარდა „ვერდერს“ ალბათ პეტრი პასანენიც არ ეყოლება, ვისაც ოჯახურ მიზეზთა გამო კლუბიდან მცირე ხნით დათხოვნა უთხოვია. მცირე ტრავმები აწუხებთ ტიმ ბოროვსკის და ანგელოს ხარისტიასს.

უპრობლემოდ არც „ანდერლეხტია“, რომლის ერთადერთ მიზანს როგორმე მესამე ადგილზე გასვლა და უეფას თასზე გადასვლა შეადგენს. თეორიულად კი შეიძლება, რომ ბელგიელები მეორე ადგილს შესწვდნენ, მაგრამ ეს უფრო ფანტასტიკის სფეროდანაა.

„ანდერლეხტს“ არ ეყოლება ნენად იესტროვიჩი და ჰანუ ტიჰინენი. ვენსან კომპანის, ფაბრის ერეს და მიხალ ჟევლაკოვის თამაში კი საეჭვოა.

და ერთიც: „ვერდერს“ ბოლო 16 საევროთასო საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული.

ირაკლი ნინიძე

ინტერი	3	3	0	0	10:2	9
ვერდერი	3	2	0	1	4:4	6
ვალენსია	3	1	0	2	4:7	3
ანდერლეხტი	3	0	0	3	2:7	0

H ჯგუფი

პორტუ — პსჟ

სავარაუდო შემადგენლობები

ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პეპე, რიკარდუ კოშტა, ბოსინგვა, მანიშე, დიეგო, კვარესმა, დერლეი სილვა, მაკკარტი	ლეტიზი, პიშო, პიერ-ფანფანი, იეპესი, არმანი, მბამი, ჩანა, ე. სისე, პანკრატი, კორიდონი, პაულეტა

მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

ცსკა — ჩელსი

სავარაუდო შემადგენლობები

აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, რ. გუსევი, იაროშიკი, ალდონინი, ჟირკოვი, რახიმიჩი, ოლიჩი, ვაგნერი	პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, სმერტინი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კეუმანი, გუდიონსენი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

ერთი მაუარინიუ და ბევრი მილიციელი

მოსკოვში რუსი ჩინოვნიკის თუ ბიზნესმენის, მოკლედ ჩუკოტკის გუბერნატორის რომან აბრამოვიჩის ლონდონური გუნდი, „ჩელსი“ ჩადის და თუ მოიგებს, თავი ქუდში აქვს, პლეი ოფის ეტაპზე გასულ თექვსმეტს შორისაა.

როგორ ხვდებიან „რუსი ჯარისკაცები“ ლონდონელებს? თუ მათ მწვრთნელს, ვალერი გაზაევს დავუჯერებთ, ყინჩად. გაზაევმა, შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეაო.

„ყველაფერი მოთამაშეთა მოწადინებაზე და საშემსრულებლო ოსტატობაზე იქნება დამოკიდებული — უთქვამს მწვრთნელს — შემადგენლობა კი პრინციპში იგივე იქნება, როგორც ყოველთვის, ჩვენ ხომ ოთხმოცი-ოთხმოცდაათი პროცენტით სტაბილური შემადგენლობა გვყავს. ისე კი, თამაშის წინ ამა თუ იმ მოთამაშის ტრავმის გამო შეიძლება რაღა შეიცვალოს“.

გაზაევმა ბრძანა, რომ ცსკა-ს მიზანი ჯგუფიდან გასვლაა, ამიტომ მას ნებისმიერი შედეგი აწყობს, ოღონდ კი გავიდეს, ხოლო „ჩელსის“ დიდი პლუსი, მისი თქმით, კარგად დაბალანსებული ნახევარდაცვა და კარგი თავდამსხმელები ყოფილა.

„მეტოქეს მისებურად თამაშის საშუალება არ უნდა მივცეთ“ — დასძინა „რუსული ჯარის“ უფროსმა და კიდევ, განაცხადა, რომ „ჯრილია სოვეტოვთან“ თამაშის შემდეგ მას ყველაზე მეტად თავისი ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მდგომარეობა აწუხებს, ჯანმრთელობით კი ჩიდი ოდიას გარდა ყველა ჯანმრთელად ჰყავს.

და რა აწუხებს მოსკოვის მილიციას? როგორც ჩანს, 30 ათასი მაყურებელი ან მათი უსაფრთხოება. ცსკა-ს და „ჩელსის“ მატჩს სამი ათასი მილიციელი დაიცავს, რომელთაგან 300 ომონის სპეცრაზმელია, ხოლო 1 170 ძერჟინსკის სახელობის ოპერატიული დანიშნულების საგანგებო დივიზიის მეომარი. ამ კეთილი ადამიანების გარდა, დამატებითი წესრიგის მცველები ახლომახლო მეტროს სადგურებთან დადგებიან.

„პორტუ“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია, მაგრამ მიმდინარე გათამაშებაში ჯერ ერთი თამაშიც არ მოუგია, ასე რომ... დღეს „დრაგაუზე“ „პორტუ“ — „პარი სენ ჟერმენია“.

ახლა კი სხვა სტატისტიკას ჩავხედოთ: „პორტუს“ ევროშეჯიბრებებში ფრანგულ გუნდებთან შვიდჯერ უთამაშია, აქედან ხუთჯერ მოუგია, ერთხელ ფრე ყოფილა და ერთხელაც დამარცხებულა.

ბოლო ოთხ სეზონში ფრანგები ოთხჯერ იყვნენ პორტუში. ბოლოს კი გაზაფხულზე, ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეოთხედფინალში იყო, როდესაც მომავალმა გამარჯვებულებმა დეკოს და რიკარდუ კარვალიუს გოლებით 2:0 იმარჯვეს.

„პარი სენ ჟერმენი“ კი პორტუში ერთხელ არის ნამყოფი, ოღონდ ქალაქის სხვა გუნდთან, „ბოავიშტასთან“ სათამაშოდ. ეს ამბავი უეფას თასის 2002-03 წლების გათამაშებაში მოხდა და პარიზელებმა წააგეს.

ახლა იმაზე, რომ „პორტუ“ შინ თამაშობს: შინ „პორტუს“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ექვს თამაშში სულ ორი გოლი აქვს გაშვებული, ხოლო „პარი სენ ჟერმენს“ სტუმრად აგერ უკვე ცხრა თამაშია, არ მოუგია. ვფიქრობთ, ეს დამფიქრებელი სტატისტიკაა. სხვა მხრივ კი იმას მოგახსენებთ, რომ არც ერთ და არც მეორე გუნდს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს. რაც შეეხება დაშავებულებს, პორტუგალიელებს არ ჰყავთ ნუნუ ვალენტე, კოშტინია და უგო ლეალი, ხოლო პარიზელებს ჟერომ როტენი. სათუაოდაა მასპინძელთაგან კარლოს ალბერტოსა, ხოლო სტუმრთაგან რეინალდოს თამაშის საქმეც.

პაპუნა კედია

ჩელსი	3	3	0	0	8:1	9
ცსკა	3	1	1	1	2:2	4
პსჟ	3	1	0	2	2:5	3
პორტუ	3	0	1	2	1:5	1

ჯონ ტერიმ და ჩელსელებმა არმიელებთან შეხვედრამდე წითელ მოედანზე ისეირნეს

პელემ კასანოო

მიეცით ოქროს ბურთი მცველებს

ანტონიო კასანოს ფანებს შორის ერთი ისეთი პრესტიჟული კაციც ყოფილა, როგორიც პელეა. საქმე კი ის გახლავთ, რომ „ფეხბურთის მეფე" იტალიაშია და მასზე გადაღებული ფილმის პრომოუშენით არის დაკავებული. ერთი სიტყვით, პელეს იტალიასა და იტალიელებზე კარგი სიტყვების თქმის პერიოდი უდგას და როდესაც ჰკითხეს, თუ არის ისეთი იტალიელი ფეხბურთელი, რომელთანაც თქვენი ახალგაზრდობა რომ დაბრუნდებოდეს, პარტნიორობას ისურვებდითო, ასეთი ანტონიო კასანოაო, მიუგო.

„ეს ის ფეხბურთელია, რომელსაც ბრაზილიაში კარგადი იცნობენ" — ბრძანა პელემ 22 წლის რომაელზე, რომელიც ბოლო დროს უფრო ყოფაქცევის პრობლემებით არის ცნობილი.

„კაკა დიდებული ფეხბურთელია, მე იგი ერთხელ უკვე შევადარე ახალგაზრდა იოჰან კრუიფს. ძალიან მომწონს ანდრეი შევჩენკოც, თუმცა მე თუ მკითხავთ, წლევანდელი „ოქროს ბურთი" მცველს ერგება" — ეს სიტყვები კი პელემ იმის დასტურად თქვა, რომ სერია A-ს და იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს ძალიან კარგად იცნობს.

შევჩენკო და კაკა რონალდინიოსთან, დეკოსთან, ადრიანოსთან და ტიერი ანრისთან ერთად „ფრანს ფუტბოლის" იმ სიაში მოხვდნენ, რომელთაგან ევროპელმა ჟურნალისტებმა კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა აირჩიონ.

„ადრიანო ფენომენალური მოთამაშე ნამდვილად არ არის — დასძინა პელემ — დღეს იგი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, რომელსაც კიდევ შეუძლია გაზრდა. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში მან მართლაც მიაღწიოს განსაკუთრებულ სიმაღლეებს. ადრიანოს ღონე და დარტყმა ლუიჯი რივას ან კრისტიან ვიერის ახალგაზრდობას მაგონებს. დარწმუნებული ვარ, ადრიანო რონალდოსთან პარტნიორობას კარგად შეძლებს".

და ბოლოს, ისევ „ოქროს ბურთზე":

„ჩვეულებრივ ასეთი ჯილდოებით იმ ფეხბურთელებს აჯილდოვებენ, რომლებსაც გოლები გააქვთ, მაგრამ ეს ყოველთვის სწორი არ არის. მაგალითად, ორი წლის წინ „ოქროს ბურთი" — რობერტო კარლოსს ეკუთვნოდა, ხოლო წლეულს ღირსეულნი პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა არიან"— დასძინა პელემ.

პაპუნა კედია

ფადიგას ჯულის დვიჭოკი დაუდგეს

„ბოლტონის" სენეგალელ ლეგიონერ ხალილუ ფადიგას ბელგიაში გულის ოპერაცია გაუკეთეს, რომელსაც ნახევარი საათი დასჭირდა. ფეხბურთელს ერთგვარი სტაბილიზატორი — დეფიბრილიატორი ჩაუდგეს, ეს აპარატი ფადიგას გულის მუშაობას დაურეგულირებს.

„ოპერაციას 30 წუთიც კი არ დასჭირდა — თქვა ბელგიელმა კარდიოლოგმა უგო ვანერმანმა — აპარატი ჩვენს პაციენტს უეცარი სიკვდილისგან იხსნის, რადგან გულს მოულოდნელი გაჩერების შემთხვევაში დეფიბრილიატორი ამუშავებს. შესაძლოა, ფადიგამ კლინიკა რამდენიმე დღეში დატოვოს, მაგრამ ვურჩევ კარიერის დასრულებაზე იფიქროს".

შეგახსენებთ, რომ ხალილუ ფადიგა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ „ინტერმა" შეიძინა, მაგრამ გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო მილანიდან გაუშვეს. სენეგალელი „ბოლტონში" გადავიდა და გასულ ოთხშაბათს „ტოტენჰემთან" ლიგის თასის მატჩის წინ მოედანზე გონდაკარგული დაეცა. სწორედ ამის შემდეგ გააგზავნეს ფეხბურთელი ბელგიაში საოპერაციოდ.

ვაჟა ხუციშვილი

ფლორენციაში ბუზოს არ აიფრენენ

ემილიანო მონდონიკო „ფიორენტინადან" მართალია, დაითხოვეს, მაგრამ გუნდის ბავშვობის დროინდელი გულშემატკივარია და ამიტომაც ამბობს, რომ მას სიყვარულს გუნდიდან ვერავინ ამოუგდებს.

„უბრალოდ აღარ შემეძლო თან მემუშავა და თან მცოდნოდა, რომ აქ მხოლოდ უკეთესი მწვრთნელის მოყვანამდე ვარ — განმარტა მონდომ — როგორც ქომაგების, ასევე კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან ეჭვს ვგრძნობდი, ამ მეორეხარისხოვნობის და დროებითობის შეგრძნებამ გადამრია".

არადა, შეგახსენებთ, რომ „ფიორენტინა" სერია B-დან სერია A-ში სწორედ ემილიანო მონდონიკომ აიყვანა, სწორედ „ტორინოსა" და „ატალანტაში" ნამუშევარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით დაამარცხეს ფლორენციელებმა პლეი ფოში „პერუჯა".



სერჯო ბუზო

„მეორე მხრივ, კლუბის ხელმძღვანელებს დიდ მადლობას მოვახსენებ ასეთ წარმატებაში მონაწილეობის საშუალება რომ მომცეს. მე ბავშვობიდან „ფიორენტინას" ქომაგი ვარ და იმისთვის, რომ ჩემს საყვარელ გუნდში მემუშავა, ხელფასის შემცირებასაც კი დავთანხმდი".

მაგრამ ვინ იქნება ფლორენციელთა ახალი მწვრთნელი? მოგეხსენებათ, მონდონიკოს მოხსნის შემდეგ ამ საკითხზე ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. ბოლოს ახსნეს „პარმაში" ნამუშევარი სპეციალისტი ჩეზარე პრანდელი, რომელიც მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს, „რომაში მივიდა, მაგრამ მეუღლის ავადმყოფობამ სამსახურის დატოვება აიძულა.

„ფლორენციელთა პრეზიდენტ დელა ვალეს არ შევხვედრივარ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ტელეფონით ველაპარაკე და ვუთხარი, რომ ამწუთას ფეხბურთში ვერ დავბრუნდები".

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, „ფიორენტინა" მონდონიკოს დროებით შემცვლელს, მისი მოვალეობის შემსრულებელ სერჯო ბუზოს შერჩება.

კლუბის ერთ-ერთი დირექტორი ფაბრიციო ლუკეზი: „ჩვენ არავის მოყვანა არ გვინდა, არც მწვრთნელის გამოცვლას არ ვაპირებდით. სიტუაციამ დაგვაჩქარა, საბედნიეროდ, ჩვენს კლუბში მუშაობდა ბუზო და საქმეც მან იტვირთა, ასე რომ, ახალი მწვრთნელის მოძებნა სასწრაფო აღარ არის".

სერჯო ბუზო „არტემიო ფრანკიზე" მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო სპეციალობით, მეკარეთა მწვრთნელად მუშაობდა. მაგრამ რაც მთელი გუნდის გაძღოლა ანდეს, „რეჯინასა" და „ლეჩესთან" გამარჯვებები მოუტანა ფლორენციელებს. ამ ორმა მოგებამ „ფიორენტინა" მეხუთე ადგილამდე აამაღლა, „ინტერს" ამოუყენა მხარში.

ბუზო 54 წლისაა. დამოუკიდებლად სერია A-ში გუნდი პირველად 1999 წლის ივნისში ათამაშა, მანამდე, ოთხი წლის განმავლობაში, რენცო ულივიერის ასისტენტი გახლდათ, თუმცა ხსენებული დამოუკიდებელი გამოცდილება მხოლოდ შვიდმატჩიანი გამოდგა, რადგან მერე „ფიორენტინაში" ფრანჩესკო გვიდოლინი მივიდა.

ასე და ამგვარად, გუნდი, რომელიც დინო ძოფს, ალბერტო მალესანის, რობერტო დონადონის და ფათიჰ თერიმს შორის მწვრთნელს არჩევდა, შეიძლება ოდესღაც სერია C1-ის „ტარანტოში" ნამუშევარ და იქიდანაც გაგდებულ სერჯო ბუზოს შერჩეს.

პაპუნა კედია

არგენტინა

აპერტურა. XIII ტური

სან ლორენსო — ესტუდიანტესი 0:0; ალმაგრო — ოლდ ბოიზი 1:0; ლანუსი — არსენალი 3:1; ბოკა ხუნიორსი — ინსტიტუტო 0:0; ხიმნასია — არგ. ხუნიორსი 2:1; ოლიმპო — რივერ პლეიტი 2:3; კილმესი — რასინგი 0:0; ველესი — კოლონი 2:3; როსარიო — ურაკანი 2:2; ინდეპენდიენტე — ბანფილდი 1:3

ოლდ ბოიზი	13	7	4	2	14:6	25
ველესი	13	8	1	4	16:13	25
ესტუდიანტესი	13	6	6	1	16:6	24
რივერ პლეიტი	13	6	4	2	21:18	22
ბოკა ხუნიორსი	13	6	3	4	19:9	21
ბანფილდი	13	5	6	2	19:11	21
სან ლორენსო	13	6	3	4	18:14	21
ლანუსი	13	5	6	2	18:16	21
ხიმნასია	13	6	3	4	14:16	21
კოლონი	13	5	5	3	15:11	20
კილმესი	13	5	4	4	10:11	19
ინდეპენდიენტე	13	5	3	5	17:15	18
ალმაგრო	13	4	6	3	10:10	18
როსარიო	13	4	5	4	10:10	17
არსენალი	13	2	7	4	9:12	13
არგ. ხუნიორსი	13	3	3	7	7:11	12
რასინგი	13	3	2	8	10:15	11
ურაკანი	13	1	4	8	11:24	7
ინსტიტუტო	13	1	4	8	9:23	7
ოლიმპო	13	1	3	9	10:22	6

აშშ

MLS. 1/4 ფინალი. I მატჩები

ვაშინგტონი — ნიუ იორკი 2:0; კანზასი — სან ხოსე 3:0; ლოს ანჯელესი — კოლორადო 2:0; კოლუმბუსი — ნიუ ინგლენდი 1:1

ნორვეგია

I დივიზიონი. XXX ტური

ბრინი — ჰორს გრენლანდი 1:1; ჰიონეფოსი — სკეიდი 1:3; კონგსვინგერი — ჰაუგესუნდი 2:1; მოსი — ალესუნდი 2:1; რაუფოსი — ტრომსდალენი 1:1; სანდეფიორდი — მანდალი 2:3; სტარტი — სტრიომსგოდსეტი 2:1; ვარდ ჰაუგესუნდი — ჰიოდი 5:4

დანია

I დივიზიონი. XIII ტური

ბრიონსჰიოი — კიოგე 0:1; დალუმი — სონდერიულანდი 1:4; სკიოლდი — ფრემი 0:4; აკადემისკი — ბ-93 კოპენჰაგენი 3:3; ფრემადი — ფრედერისია 0:0; ნესტვედი — ჰორსენსი 1:3; ნიკიობინგი — იოლსტიკე 4:2; ვაილე — ჰელერუპი 3:0

მექსიკა

აპერტურა XIII ტური

ჰაჩუკა — სანტოს ლაგუნა 2:1; უნამი — ხაგუარესი 2:1; ატლანტე — პუებლა 2:1; მორელია — ნეკაქსა 1:5; ტოლუკა — ამერიკა 0:1; კრუზ ასული — ტეკოსი 5:2; გვადალახარა — მონტერეი 1:0; ტიგრესი — ატლასი 1:3; ვერაკრუსი — სინალოა 2:1

ბრაზილია

სერია A. XXXIX ტური

ვასკუ და გამა — პონტე პრეტა 2:2; სანტოსი — ფლუმინენსე 5:0; ბოტაფოგო — კრუზეირო 2:1; პაისანდუ — კურიტიბა 0:0; გუარანი — გოიასი 1:1; ფუვენტუდე — ფლამენგო 1:0; გრემიო — პალმეირასი 2:3; ფიგეირენსე — სან პაულუ 1:0; კორინთიანსი — ვიტორია 1:0; ატლ. მინეირო — კრისიუმა 2:2; ატლ. პარანენსე — ინტერნასიონალი 2:1. სან კაეტანო — პარანა გადაიდო

სანტოსი	39	22	6	11	88:53	72
ატლ. პარანენსე	39	21	9	9	73:45	72
პალმეირასი	39	19	11	9	65:40	68
სან პაულუ	38	19	8	11	58:34	65
სან კაეტანო	37	19	8	10	50:30	65
ფუვენტუდე	39	19	8	12	54:54	65
გოიასი	39	18	8	13	73:61	62
კორინთიანსი	39	16	13	10	41:44	61
პონტე პრეტა	39	17	7	15	36:57	58
ფლუმინენსე	39	15	11	13	57:60	56
ფიგეირენსე	39	14	12	13	49:48	54
კურიტიბა	39	12	15	12	41:39	51
კრუზეირო	39	14	8	17	57:63	50
ინტერნასიონალი	39	14	7	18	52:53	49
ვასკუ და გამა	39	13	10	16	56:56	49
პაისანდუ	39	12	11	16	48:69	47
კრისიუმა	39	12	9	18	52:62	45
ვიტორია	39	12	7	20	62:71	43
ბოტაფოგო	39	9	16	12	53:61	43
ატლ. მინეირო	39	9	16	14	49:61	43
ფლამენგო	39	10	12	17	40:43	42
პარანა	38	11	8	19	43:65	41
გუარანი	39	8	15	16	35:48	39
გრემიო	39	8	11	20	50:65	35

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XIII ტური

კოპერი — პუბლიკუმი 0:1; ლიუბლიანა — ნოვა გორიცა 4:0; პრიმორიე — ოლიმპია 2:0; დომზალე — ზაგორიე 0:0; მურა — პტუი 3:1; მარიბორი — ბელა კრაინა 5:0

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XIII ტური

ბადენი — კრინსი 0:1; ვოლენი — ბოლმი 0:1; ივერდონი — ლუგანო 0:0; ლუცერნი — ვადუცი 0:1; ბელინცონა — კიასო 1:1; ბულე — ვინტერთური 3:2; კონკორდია — მეირინი 1:0; ვილი — შო დე ფონი 2:1; სიონი — იუვენტუსი 4:2

ავსტრია

I დივიზიონი. XV ტური

აუსტრია (ლ) — ალტახი 1:0; კერნტენი — ლინცერი 3:0; ლეობენი — გრატკორნი 1:1; ვიორგლი — კაპფენბერგი 1:0; რიდი — უნტერზიბენბრიუნი 3:0

სლოვაკეთი

I ლიგა. XIV ტური

ინტერი — პუხოვი 0:0; ტრნავა — ბანსკა ბისტრიცა 2:0; ტრენჩინი — რუჟომბეროკი 3:0; პეტრჟალკა — სობოტა 7:1; ჟილინა — დუბნიცა 2:2

ფერნანდო მორიენტესის გამოჩენას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ქომაგები ყოველთვის ყიჟინით ხვდებიან, რადგან „ელ მოროს“ „რეალისადმი“ ერთგულებას აფასებენ. ესპანელმა ფორვარდმა გასული სეზონი „მონაკოში“ გაატარა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა და კვლავ მადრიდში დაბრუნდა

შარშანდელი ბუცები

მორიენტესი გოლებს სახლში ინახავს

„მონაკოს“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის მატჩებში მან ცხრა გოლი მიითვალა. აქედან ორი „რეალის“ კარში შეაგდო. მორიენტესი ახლაც ინახავს ბუცებს, რომლითაც „რეალის“ კარში გოლები გაიტანა. „ისინი შინ შევინახე — თქვა „ელ მორომ“ — ფორვარდი უარს ვერ იტყვის ასეთ „შედეგიან“ ბუცებზე. იქნებ ოდესმე ილბლის მოსაბრუნებლად დამჭირდეს და კვლავ ჩავიცმევ“.

„რეალში“ მიბრუნებულ მორიენტესს გვარიანი შრომა და გარჯა დასჭირდება, რომ რაულის, რონალდოსა და ოუენის გარემოცვაში ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს.

ამბობენ, „ელ მორო“ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას და კვლავ წასვლას ეშურებაო, მაგრამ ფეხბურთელი თავად უარობს. მას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „რეალთან“ ერთად თამაში სურს: „ვფიქრობ, რომ ამჟამად გუნდში ყველაფერი რიგზეა და სწორი გზით მივდივართ. სასწაული თუ არ მოხდა, ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ. კიევის „დინამოსთან“ 1:0 მოგების შემდეგ შვებით ამოვისუნთქეთ. გამარჯვებას ფსიქოლოგიური სიმყარე მოაქვს. „რეალის“ დონის გუნდი თამაშს არ უნდა აგებდეს, მაგრამ როგორც კი ერთ-ორ შეხვედრას წავაგებთ, ხალხი მაშინვე ჭორაობს იწყებს, რომ „რეალის“ სამზარეულოში არეულობაა, ამან კი შეიძლება კალაპოტიდან ამოგვაგდოს.“

„სამეფო კლუბი“ ამ სეზონში არასტაბილურია, რამაც შიდაგუნდური კონფლიქტების არსებობის ვერსია წარმოშვა. მორიენტესი ცდილობს, ჭორებს ყურადღება არ მიაქციოს და „დინამოსთან“ მატჩისთვის ემაზადება: „მადრიდულ შეხვედრაში კიეველებმა სამი მცველით ითამაშეს, რამაც შეტევაში საქმე გაგვირთულა. ისინი ჩვენს ფორვარდებს პერსონალურად დასდევდნენ და მაღალი კლასის მცველთან ორთაბრძოლის მოგება ძალიან ძნელია. მით უმეტეს, თუ ის ღონიერია და 90 წუთის განმავლობაში არ გაშვება“.

და ბოლოს, ფერნანდო მორიენტესი და რამდენიმე ათეული სხვა ევროპელი ფეხბურთელი ხვალ მაყურებლის წინაშე „ადიდასის“ ახალი ბუცებით, „FSO +“-ით წარსდგება.

ვაჟა ხუციშილი

არ გვიჩხუბია

დელ ნერი არკვევს ვინ ვინ არის

„რომას“ მწვრთნელმა, ლუიჯი დე ნერიმ უარყო ხმები, თითქოს კვირას, „კალიარისთან“ 5:1 დამთავრებული მატჩის შესვენებისას მან და მისმა ჭირვეულმა ვარსკვლავმა, ანტონიო კასანომ იჩხუბეს. ჭორი ასეთი გახლდათ: დელ ნერიმ თავდამსხმელს უთხრა, რომ იგი მას ცვლიდა (შეცვალა კიდეც, კასანოს ნაცვლად მეორე ტაიმში ვინჩენცო მონტელამ ითამაშა), რაზეც თავდამსხმელმა იყვირა და განაცხადა, რომ არ გავიდოდა მოედნიდან

„ჩვენ ვილაპარაკეთ, როგორც მწვრთნელები და ფეხბურთელები ლაპარაკობენ ხოლმე — განაცხადა დელ ნერიმ — კასანოს შეცვლასთან დაკავშირებით პრობლემა არ მქონია. ჩვეულებრივი, გასახდელის სიტუაცია იყო, რომელიც რატომღაც თითზე დაიხვიეს და გააზვიადეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ ერთი თვეა, რაც ამ გუნდში ვარ და მინდა გავიცნო ვინ ვინ არის!“

სინამდვილეში რა და როგორ იყო ან რა ბედი ეწევა კასანოს „რომაში“, იანვარში მაინც აუცილებლად გამოჩნდება, როდესაც იტალიაში ახალი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. არ არის გამორიცხული, კასანო „იუვენტუსში“ თავის ყოფილ მწვრთნელთან, ფაბიო კაპელოსთან გადავიდეს, თუმცა კაპელომ სწორედ გუშინ განაცხადა, რომ თუ „იუვეს“ ტრავმები აღარ დაემატება, მაშინ არავის ყიდვა არ იქნება საჭირო:

„დღეს ჩინებულად ვგრძნობთ თავს, მრავალრიცხოვანი გუნდი მყავს, რომლის ყოველი ფეხბურთელი ადრე თუ გვიან ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდობაც. ძალიან კმაყოფილი გახლავართ ზლატან იბრაჰიმოვიჩით, რომელსაც გოლები თავადაც გააქვს, მაგრამ სხვებსაც აძლევს ამის საშუალებას. ასე რომ, თუ მეტი არავინ დაგვიშავდება, იანვარში სატრანსფერო ბაზარზე არ ვიაქტიურებთ“.

პაპუნა კედია

ფრანგული „ლიონის“ მცველმა კლაუდიო კასაპამ სერიოზული ტრავმა მიიღო. გასულ უქმეებზე „სტრასბურთან“ მატჩისას მას ძალიან უხეშად ეთამაშა მეტოქე გუნდის 19 წლის ფეხბურთელი სეიდუ კეიტა, რის გამოც მას წითელი ბარათიც აუფრიალეს. თავად 28 წლის ბრაზილიელი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს, ეგებ კასაპას მუხლის ოპერაციაც დასჭირდეს. ყოველ შემთხვევაში, წლეულს იგი სავარაუდოდ მინდორზე ვეღარ გავა. აღსანიშნავია, რომ მცირე ტრავმა მიიღო „ლიონის“ ფორვარდმა სილვენ ვილტორდმაც.

ინგლისური „ტოტენჰემმა“ ფაქტობრივად ცხვირწინ აცალა ხორვატი ვარსკვლავი ნიკო კრანჩარი „მიდლსბროს“ და სამედიცინო შემოწმების შემდეგ მასთან კონტრაქტსაც გააფორმებს. „ლონდონელებმა გაცილებით უკეთესი წინადადება შემოგვთავაზეს და თავად ნიკომაც უფრო სახელიან გუნდში არჩია წასვლა. „ტოტენჰემისა“ და „მიდლსბროს“ გარდა მისი გადაბირება „მილანს“, „ფეიენოორდს“ და კიევის „დინამოს“ სურდათ, მაგრამ ინგლისური კლუბები მათზე მონდომებულნი იყვნენ. სამწუხაროა, რომ გვტოვებს, მაგრამ ამას ველოდით“ — თქვა ზაგრების „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა ზდრავკო მამიჩმა.

პორტუგალიური „პორტუს“ კაპიტანი კოშტინია დაახლოებით ორი კვირა დაისვენებს. 29 წლის მცველმა ქვეყნის თასზე „გიმარაებთან“ მატჩში თავი დაიზიანა და გონება დაკარგა. „კოშტინიას ტვინის, კისრისა და ხერხემლის კომპიუტერული გაშუქება ჩაუტარდა. საბედნიეროდ, არანაირი სერიოზული დაზიანება არ აღენიშნება და ტრავმა არც ისე სერიოზულია, როგორც თავიდან ჩანდა“ — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

ესპანური „ვალენსიამ“ გასული სეზონის კლუბის ბომბარდირ მიგელ მისტასთან 5 წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ თავად ფეხბურთელს სეზონის დასაწყისში „მესტალიას“ დატოვება სურდა. მისით რამდენიმე გრანდი იყო დაინტერესებული, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ბოლოს ფორვარდის გადაბირება „ლივერპულის“ ამჟამინდელ და „ვალენსიას“ ყოფილი თავკაც, რაფაელ ბენიტესს სურდა, მაგრამ მისტამ საერთო ენა გამონახა კლაუდიო რანიერისთან და მშობლიურ კლუბში დარჩენა გადაწყვიტა.

ფრანგული „ბორდომ“ თავის წამყვან ფეხბურთელებთან, მაროკოელ ფორვარდ მარუან შამახთან და უკვე საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ რიო მავუბასთან 2009 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. „რიო და მარუანი ჩინებულად თამაშობენ, რითაც სხვა კლუბების ყურადღებასაც იპყრობენ. თუმც „ბორდო“ ახალგაზრდა მოთამაშეებზე აკეთებს აქცენტს და ისინი კიდევ დიდი ხნით დარჩებიან გუნდში“ — განაცხადა ჟირონდელთა მმართველმა ჟან-ლუი ტრიამ.

გერმანიის ნაკრების თავკაც იურგენ კლინსმანს სურს, ბერტი ფოგთსი ერთ-ერთ თანაშემწედ აიყვანოს. მისი თქმით, ფოგთსი მშვენივრად მოძებნიდა და მოამზადებდა ნაკრებისთვის ახალგაზრდა მოთამაშეებს. ევრო 96-ის ტრიუმფატორმა სპეციალისტმა შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა გუშინ დატოვა და სავარაუდოდ სიამოვნებით უნდა მიიღოს კლინსმანის წინადადება, იმიტომ რომ ფოგთსს არაერთხელ უთქვამს, სამშობლოში მსურს დაბრუნებაო.

ინგლისური „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა განაცხადა, მზად ვარ მუტუს კიდევ ერთი შანსი მივცეო. „მართალია, მას დიდხანს მოუწევს დასვენება, მაგრამ შემდეგ ნულიდან უნა დაიწყოს კარიერა და ჩვენ შეგვიძლია აძის შანსი მივცეთ“ — აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა. შეგახსენებთ, რომ მუტუ კოკაინის და დოპინგის ხმარებაში ამხილეს, რის შემდეგაც „ჩელსიმ“ რუმინელთან კონტრაქტი გაწყვიტა. ახლა კი ფორვარდს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის.

გერმანული „ბაიერნის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო გასულ უქმეებზე „მიონხენგლადბახთან“ მატჩში დაშავდა. ფეხბურთელს ტვინის შერყევა აქვს და ექიმები ჯერჯერობით ზუსტად ვერ ამბობენ, რამდენ ხანს მოუწევს უქმობა. ცნობილია, რომ იგი „იუვენტუსთან“, ჩემპიონთა ლიგის ხვალინდელ მატჩს გამოტოვებს.

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩემპიონთა ლიგა						
		2 ნოემბერი						
20.30	001	ცსკა-ჩელსი	3,2	3,2	2,15	1,6	1,28	1,28
22.45	002	არსენალი-პანათინაიკოსი	1,2	5,6	11,0	1	1,08	3,71
22.45	003	პსვ-რუსენბორგი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.45	004	ბარსელონა-მილანი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
22.45	005	სელტიკი-შახტარი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
22.45	006	ინტერი-ვალენსია	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
22.45	007	ვერდერი-ანდერლეხტი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
22.45	008	პორტუ-პსუ	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		3 ნოემბერი						
22.45	009	დეპორტივო-ლივერპული	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
22.45	010	ოლიმპიაკოსი-მონაკო	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
22.45	011	დინამო-რეალი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
22.45	012	რომა-ლევერკუზენი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
22.45	013	ბაიერნი-იუვენტუსი	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
22.45	014	მაკაბი-აიაქსი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
22.45	015	ლიონი-ფენერბაჰჩე	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
22.45	016	მანჩესტერი-სპარტა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
		უეფას თასი						
		4 ნოემბერი						
20.15	017	შტუტგარტი-ბენფიკა	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
20.45	018	გრაცერი-ამიკა	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
21.00	019	პარმა-სტიაუა	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
21.00	020	პარტიზანი-ეგალეო	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
21.15	021	უტრეხტი-დნიპრო	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
21.30	022	ბეშიქთაში-ბილბაო	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
22.30	023	დინამო(ზ)-ბევერენი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
22.30	024	ჰართსი-შალკე	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
22.30	025	ნიუკასლი-დინამო(თბ)	1,12	5,6	12,5	1	1,02	3,86
22.45	026	ლილი-ზენიტი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.45	027	აუსტრია-სარაგოსა	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.00	028	ფერენცვაროში-ფეიენოორდი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
23.00	029	მიდლსბრო-ლაციო	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
23.15	030	ალკმაარი-ოსერი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
23.30	031	სევილია-ალემანია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
00.15	032	სპორტინგი-პანიონიოსი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		2 ნოემბერი						
22:45	300	კარდიფი-ვესტ ჰემი	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
22:45	301	ქრიუ-ლესტერი	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
22:45	302	ჯილინგემი-უოტფორდი	2.5	3.2	2.5	1.4	1.25	1.4
22:45	303	იფსვიჩი-შეფილდი	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
22:45	304	პლიმუთი-რედინგი	2.5	3.2	2.5	1.4	1.25	1.4
22:45	305	ქარ-მილუოლი	1.95	3.2	3.5	1.21	1.25	1.67
22:45	306	სტოკი-უიგანი	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
23:00	307	სანდერლენდი-ულვერჰემპტონი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
		3 ნოემბერი						
22:45	308	ქოვენთრი-პრესტონი	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57
22:45	309	დერბი-ბრაიტონი	1.9	3.3	3.6	1.2	1.24	1.72
22:45	310	ლიდსი-ბარნლი	1.9	3.3	3.6	1.2	1.24	1.72
22:45	311	ნოტინგემი-როტერჰემი	1.7	3.3	4.4	1.12	1.22	1.88
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		6 ნოემბერი						
18:00	359	სელტიკი-კილმარნოკი	1.2	5.5	12.0	1.0	1.09	3.77
18:00	360	დანდი-დანდი იუნაიტედი	2.4	3.2	2.7	1.37	1.27	1.46
18:00	361	დანფერმლაინი-ინვერნესი	1.8	3.3	4.2	1.16	1.25	1.84
18:00	362	ჰიბერნიანი-მოზერუელი	2.2	3.2	3.0	1.3	1.26	1.54
		7 ნოემბერი						
17:00	363	ლივინგსტონი-რეინჯერსი	8.2	4.2	1.35	2.77	1.15	1.02
18:00	364	აბერდინი-ჰართსი	2.1	3.2	3.2	1.26	1.26	1.6
		გერმანია.I ბუნდესლიგა						
		6 ნოემბერი						
17:30	51	ბაიერნი-ჰანოვერი	1.35	4.3	8.3	1.02	1.16	2.83
17:30	52	არმინია-დორტმუნდი	2.5	3.2	2.6	1.4	1.27	1.43
17:30	53	ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი	1.9	3.2	3.8	1.19	1.26	1.73
17:30	54	ჰერტა-ვერდერი	2.6	3.2	2.5	1.43	1.27	1.4
17:30	55	ლევერკუზენი-ფრაიბურგი	1.5	3.7	6.3	1.06	1.21	2.33
17:30	56	მაინცი-მიონხენგლადბახი	1.9	3.2	3.8	1.19	1.26	1.73
17:30	57	ნიურბერგი-ვოლფსბურგი	2.6	3.2	2.5	1.43	1.27	1.4
		7 ნოემბერი						
19:30	58	შტუტგარტი-ჰანზა	1.4	4.4	6.5	1.06	1.15	2.62
19:30	59	ჰამბურგი-შალკე	2.4	3.2	2.7	1.37	1.27	1.46
		ესპანეთი. პირველი დივიზიონი						
		6 ნოემბერი						
23:45	70	ალბასეტე-ბეტისი	2.4	3.1	2.8	1.35	1.29	1.47
22:00	72	ბარსელონა-დეპორტივო	1.65	3.3	5.0	1.1	1.24	1.98
		7 ნოემბერი						
23:00	71	ატლეტიკო-სარაგოსა	1.95	3.2	3.7	1.21	1.27	1.71
19:00	73	ხეტაფე-ვალენსია	3.7	3.0	2.0	1.65	1.29	1.2
19:00	74	ლევანტე-ბილბაო	2.3	3.2	2.9	1.33	1.28	1.52
21:00	75	მალაგა-რეალი	3.7	3.0	2.0	1.65	1.29	1.2
19:00	76	რასინგი-ნუმანსია	1.85	3.2	4.1	1.17	1.27	1.79
19:00	77	სევილია-მალიორკა	1.65	3.4	5.0	1.11	1.24	2.02
19:00	78	სოსიედადი-ესპანიოლი	2.3	3.1	3.0	1.32	1.3	1.52
19:00	79	ვილიარეალი-ოსასუნა	2.0	3.1	3.6	1.21	1.28	1.66
		იტალია. სერია/ბ						
		3 ნოემბერი						
20:30	734	ალბინოლეფე-ტრიესტინა	1.9	2.9	4.0	1.14	1.28	1.68
		დანია. სუპერლიგა						
		3 ნოემბერი						
20:05	617	ორჰუსი-ოლბორგი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52
20:30	618	ესბიერგი-ბრიონდბიუ	2.9	3.2	2.2	1.52	1.25	1.3
20:30	619	მიდტიულანდი-კოპენჰაგენი	2.6	3.1	2.5	1.41	1.27	1.38
20:30	620	ნორდსიელანდი-რანდერსი	1.7	3.5	4.2	1.14	1.21	1.9
20:30	621	ოდენსე-ჰერფიოლგე	1.55	3.7	5.0	1.09	1.18	2.12
20:30	622	ვიბორგი-სილკებორგი	1.7	3.5	4.2	1.14	1.21	1.9
		ინგლისი. თასი						
		2 ნოემბერი						
22:45	708	ტრანმერი-პორტ ვეილი	1.6	3.5	4.5	1.09	1.18	1.96
22:45	709	რექსემი-სტოკპორტი	1.7	3.4	4.0	1.13	1.19	1.83
22:45	710	უიკომბი-სუონსი	2.2	3.2	2.7	1.3	1.21	1.46
22:45	711	კემბრიჯი—ლეიტონი	2.7	3.2	2.2	1.46	1.21	1.3
22:45	712	კარლაილი-ჰარტპული	2.7	3.2	2.2	1.46	1.21	1.3
22:45	713	ჩელტენემი-უოლსოლი	2.5	3.2	2.3	1.4	1.19	1.33
22:45	714	ჩესტერი-როჩდეილი	1.75	3.4	3.6	1.15	1.17	1.74
22:45	715	ექსეტერი-სუინდონი	3.2	3.3	1.9	1.62	1.19	1.2
22:45	716	ჰერეფორდი-დონკასტერი	2.7	3.4	2.1	1.5	1.18	1.29
22:45	717	მაკლსფილდი-მენსფილდი	2.2	3.2	2.7	1.3	1.21	1.46
22:45	718	ოლდემი-აკრინგტონი	1.6	3.5	4.5	1.09	1.18	1.96
22:45	719	საუთენდი-შრიუსბერი	1.65	3.4	4.3	1.11	1.19	1.89
22:45	720	ტორკი-ნორთჰემპტონი	2.0	3.4	2.9	1.25	1.18	1.56
22:45	721	ბლეკჰული-ჰადერსფილდი	2.2	3.4	2.6	1.33	1.19	1.47
22:45	722	ბრისტოლი-დონსი	1.65	3.4	4.3	1.11	1.19	1.89

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		3 ნოემბერი						
22:45	723	როვერსი-ბარნეტი	1.6	3.2	3.8	1.06	1.12	1.73
		შვედეთი. თასი						
		6 ნოემბერი						
17:30	735	იურგორდენი-გიოტებორგი	2.4	3.3	2.6	1.38	1.24	1.45
		ჰოკეი. შვედეთი						
		2 ნოემბერი						
21:00	803	ტიმრე-მორა	1.5	4.6	4.0	1.13	1.09	2.13
21:00	804	მალმიო-იურგორდენი	2.3	4.4	2.1	1.51	1.09	1.42
21:00	805	სიოდერტელიე-ჰვ 71	2.1	4.4	2.3	1.42	1.09	1.51
		ჰოკეი. ფინეთი						
		2 ნოემბერი						
19:30	818	ესეტი-ილვესი	2.0	4.4	2.5	1.37	1.11	1.59
19:30	819	ჰაამეენლინა-ჰელსინკი	1.9	4.4	2.6	1.32	1.09	1.63
19:30	820	სეიპა-ტურკუ	3.0	4.4	1.7	1.78	1.08	1.22
19:30	821	ტაპარა-კერპეტი	2.3	4.4	2.1	1.51	1.09	1.42
		3 ნოემბერი						
19:30	822	ჰელსინკი-ტაპარა	1.85	4.4	2.9	1.3	1.12	1.74
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		2 ნოემბერი						
19:00	836	ვიტკოვიცე-ვსეტინი	1.5	4.6	3.5	1.13	1.04	1.98
19:00	837	ზლინი-დუკლა	1.2	5.8	6.0	1.0	1.0	2.94
19:30	838	პლზენი-კარლოვი ვარი	1.75	4.4	3.0	1.25	1.1	1.78
19:30	839	ლიტვინოვი-ზნოიმო	1.85	4.4	2.4	1.3	1.04	1.55
20:00	840	სლავია-კლადნო	1.7	4.4	3.2	1.22	1.11	1.85
20:00	841	ლიბერეცი-ტრჟინეცი	1.8	4.4	2.6	1.27	1.06	1.63
20:00	842	პარდუბიცე-სპარტა	2.1	4.4	2.3	1.42	1.09	1.51
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		2 ნოემბერი						
19:00	850	კოშიცე-პოპრადი	1.3	4.6	7.0	1.01	1.09	2.77
19:00	851	ზვოლენი-მიკულაში	1.3	5.0	6.5	1.03	1.08	2.82
19:00	852	ნიტრა-სკალიცა	1.8	4.4	2.7	1.27	1.08	1.67
19:00	853	ჟილინა-ტრენჩინი	2.5	4.4	1.9	1.59	1.07	1.32
19:00	854	დუბნიცა-სლოვანი	7.0	5.0	1.2	2.91	1.02	1.0
		ჰოკეი. გერმანია						
		2 ნოემბერი						
21:30	865	აისბარენი-კასელი	1.4	4.8	4.6	1.08	1.07	2.34
21:30	866	ჰამბურგი-ფრანკფურტი	1.9	4.4	2.6	1.32	1.09	1.63
21:30	867	ჰანოვერი-კიოლნი	2.8	4.4	1.8	1.71	1.09	1.27
21:30	868	იზერლონი-ვოლფსბურგი	1.8	4.4	2.8	1.27	1.09	1.71
21:30	869	კრეფელდი-აუგსბურგი	1.7	4.4	3.0	1.22	1.08	1.78
21:30	870	მანჰაიმი-ინგოლშტადი	1.8	4.4	2.8	1.27	1.09	1.71
21:30	871	ნიურბერგი-დიუსელდორფი	1.7	4.4	3.0	1.22	1.08	1.78
		ჰოკეი. შვეიცარია						
		2 ნოემბერი						
21:45	886	სერვეტი-ციურიხი	2.1	4.4	2.3	1.42	1.09	1.51
21:45	887	ბერნი-დავოსი	2.1	4.4	2.3	1.42	1.09	1.51
21:45	888	ამბრი-ლანგნაუ	1.45	4.4	4.5	1.09	1.09	2.22
21:45	889	ლოზანა-რაპერსვილი	2.3	4.4	2.1	1.51	1.09	1.42
21:45	890	ცუგი-ლუგანო	2.5	4.4	1.95	1.59	1.09	1.35
		ჰოკეი. რუსეთი						
		3 ნოემბერი						
14:00	903	მაგნიტოგორსკი-ავანგარდი	1.7	4.6	3.1	1.24	1.09	1.85
14:00	904	ნოვოკუზნეცკი-ნეფტეხიმიკი	1.2	6.5	6.5	1.01	1.01	3.25
14:00	905	ს.იულაევი-ასკ	2.1	4.4	2.3	1.42	1.09	1.51
14:00	906	სიბირი-აკ ბარსი	2.9	4.5	1.75	1.76	1.09	1.25
14:00	907	სპარტაკი-მოლოტი	1.65	4.8	3.2	1.22	1.08	1.91
14:00	908	დინამო-ხიმიკი	1.4	6.0	4.5	1.13	1.06	2.57
14:00	909	ლადა-სევერსტალი	1.7	4.6	3.1	1.24	1.09	1.85
14:00	910	ლოკომოტივი-ცსკა	1.55	5.0	3.7	1.18	1.09	2.12
		კალათბურთი. NBA						
		2 ნოემბერი						
23:45	920	დეტროიტი-ჰიუსტონი	1.45	12.0	2.6	1.29	1.0	2.13
23:45	921	დალასი-საკრამენტო	1.7	12.0	2.05	1.48	1.0	1.75
23:45	922	ლეიკერსი-დენვერი	1.65	12.0	2.2	1.45	1.0	1.85

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5001	ცსკა-ჩელსი	3,6	2,0	2,7	1,28	1,54	1,14
5002	არსენალი-პანათინაიკოსი	1,4	3,0	8,0	1	1,19	2,18
5003	პსვ-რუსენბორგი	1,75	2,35	6,5	1	1,37	1,72
5004	ბარსელონა-მილანი	2,5	2,0	4,0	1,11	1,53	1,33
5005	სელტიკი-შახტარი	2,5	2,0	4,0	1,11	1,53	1,33
5006	ინტერი-ვალენსია	2,35	2,05	4,4	1,09	1,53	1,39
5007	ვერდერი-ანდერლეხტი	1,65	2,5	7,0	1	1,33	1,84
5008	პორტუ-პსუ	2,3	2,05	4,6	1,08	1,53	1,41
5009	დეპორტივო-ლივერპული	2,6	2,0	3,8	1,13	1,54	1,31
5010	ოლიმპიაკოსი-მონაკო	2,9	2,0	3,4	1,18	1,56	1,25
5011	დინამო-რეალი	3,6	2,0	2,7	1,28	1,54	1,14
5012	რომა-ლევერკუზენი	2,4	2,05	4,2	1,1	1,52	1,37
5013	ბაიერნი-იუვენტუსი	2,8	2,0	3,5	1,16	1,55	1,27
5014	მაკაბი-აიაქსი	4,6	2,1	2,25	1,44	1,51	1,08
5015	ლიონი-ფენერბაჰჩე	1,75	2,35	6,5	1	1,37	1,72
5016	მანჩესტერი-სპარტა	1,4	3,0	8,0	1	1,19	2,18

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი ზგვეულად ჩაითვლება)

5401	ცსკა-ჩელსი	1,95	1,85
5402	არსენალი-პანათინაიკოსი	1,2	4,0
5403	პსვ-რუსენბორგი	1,3	3,4
5404	ბარსელონა-მილანი	1,75	2,1
5405	სელტიკი-შახტარი	1,8	2,0
5406	ინტერი-ვალენსია	1,7	2,2
5407	ვერდერი-ანდერლეხტი	1,3	3,4
5408	პორტუ-პსუ	1,7	2,2
5409	დეპორტივო-ლივერპული	1,8	2,0
5410	ოლიმპიაკოსი-მონაკო	1,85	1,95
5411	დინამო-რეალი	2,0	1,8
5412	რომა-ლევერკუზენი	1,75	2,1
5413	ბაიერნი-იუვენტუსი	1,85	1,95
5414	მაკაბი-აიაქსი	2,2	1,7
5415	ლიონი-ფენერბაჰჩე	1,3	3,4
5416	მანჩესტერი-სპარტა	1,2	4,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101	ცსკა-ჩელსი	4,8	10,0	20,0	5,6	4,4	4,2	20,0	10,0	3,2
5102	არსენალი-პანათინაიკოსი	1,4	20,0	50,0	3,5	6,0	20,0	25,0	17,0	17,0
5103	პსვ-რუსენბორგი	1,8	12,0	30,0	3,5	5,0	12,0	20,0	11,0	11,0
5104	ბარსელონა-მილანი	3,1	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5105	სელტიკი-შახტარი	3,1	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5106	ინტერი-ვალენსია	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
5107	ვერდერი-ანდერლეხტი	1,7	12,0	30,0	3,5	4,8	14,0	20,0	14,0	14,0
5108	პორტუ-პსუ	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	6,5	20,0	10,0	6,0
5109	დეპორტივო-ლივერპული	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5110	ოლიმპიაკოსი-მონაკო	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
5111	დინამო-რეალი	4,6	10,0	20,0	5,6	4,4	4,4	20,0	10,0	3,3
5112	რომა-ლევერკუზენი	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5113	ბაიერნი-იუვენტუსი	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,6
5114	მაკაბი-აიაქსი	6,0	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,7
5115	ლიონი-ფენერბაჰჩე	1,9	12,0	25,0	3,5	4,6	12,0	20,0	11,0	11,0
5116	მანჩესტერი-სპარტა	1,4	20,0	50,0	3,5	6,0	20,0	25,0	17,0	17,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	ცსკა-ჩელსი	3,0	2,8	2,0
5502	არსენალი-პანათინაიკოსი	3,0	2,8	2,0
5503	პსვ-რუსენბორგი	3,0	2,8	2,0
5504	ბარსელონა-მილანი	3,0	2,8	2,0
5505	სელტიკი-შახტარი	3,0	2,8	2,0
5506	ინტერი-ვალენსია	3,0	2,8	2,0
5507	ვერდერი-ანდერლეხტი	3,0	2,8	2,0
5508	პორტუ-პსუ	3,0	2,8	2,0
5509	დეპორტივო-ლივერპული	3,0	2,8	2,0
5510	ოლიმპიაკოსი-მონაკო	3,0	2,8	2,0
5511	დინამო-რეალი	3,0	2,8	2,0
5512	რომა-ლევერკუზენი	3,0	2,8	2,0
5513	ბაიერნი-იუვენტუსი	3,0	2,8	2,0
5514	მაკაბი-აიაქსი	3,0	2,8	2,0
5515	ლიონი-ფენერბაჰჩე	3,0	2,8	2,0
5516	მანჩესტერი-სპარტა	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5301	ცსკა-ჩელსი	1,7	1,9
5302	არსენალი-პანათინაიკოსი	1,8	1,8
5303	პსვ-რუსენბორგი	1,7	1,9
5304	ბარსელონა-მილანი	1,65	1,95
5305	სელტიკი-შახტარი	1,7	1,9
5306	ინტერი-ვალენსია	1,65	1,95
5307	ვერდერი-ანდერლეხტი	1,75	1,85
5308	პორტუ-პსუ	1,7	1,9
5309	დეპორტივო-ლივერპული	1,7	1,9
5310	ოლიმპიაკოსი-მონაკო	1,7	1,9
5311	დინამო-რეალი	1,7	1,9
5312	რომა-ლევერკუზენი	1,6	2,0
5313	ბაიერნი-იუვენტუსი	1,7	1,9
5314	მაკაბი-აიაქსი	1,7	1,9
5315	ლიონი-ფენერბაჰჩე	1,7	1,9
5316	მანჩესტერი-სპარტა	1,8	1,8

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201	ცსკა-ჩელსი	1,7	1,9
5202	არსენალი-პანათინაიკოსი	1,95	1,65
5203	პსვ-რუსენბორგი	1,9	1,7
5204	ბარსელონა-მილანი	1,65	1,95
5205	სელტიკი-შახტარი	1,75	1,85
5206	ინტერი-ვალენსია	1,8	1,8
5207	ვერდერი-ანდერლეხტი	1,9	1,7
5208	პორტუ-პსუ	1,65	1,95
5209	დეპორტივო-ლივერპული	1,65	1,95
5210	ოლიმპიაკოსი-მონაკო	1,65	1,95
5211	დინამო-რეალი	1,8	1,8
5212	რომა-ლევერკუზენი	1,95	1,65
5213	ბაიერნი-იუვენტუსი	1,65	1,95
5214	მაკაბი-აიაქსი	1,7	1,9
5215	ლიონი-ფენერბაჰჩე	1,8	1,8
5216	მანჩესტერი-სპარტა	1,95	1,65

ნბა დაიშალა

ქართველებს იმედი ნუ მოგვიშალოს

ამხელა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სამი ქართველი რომ თამაშობს, ეს კარგა ხანია იცით. მაგრამ ისე გამოვიდა, შესაძლოა, სამივე მათგანმა ვერ ითამაშოს... ვლადიმერ სტეფანიას და მით უმეტეს, ზაზა ფაჩულიას კიდევ რა უჭირთ, მაგრამ, აი, ნიკა ცქიტიშვილს არცთუ სახარბიელოდ აქვს საქმე — მისთვის პრობლემა გახდა „დენვერ ნაგიტსის“ 12-კაცა შემადგენლობაში ადგილის მოპოვება.

მაგრამ ხვალ გამთენიისას ხომ ნბა 59-ე რეგულარულ სეზონს იწყებს და ვის სცხელა დენვერში და მით უმეტეს, მთელ ამერიკაში, პერსპექტიულ ლეგიონერ ვერ ჩანაყალიბებული ჯორჯიელი ბიჭისთვის?

თანაც ნბა ხომ დაიშალა. ესაა, რაფერი მოსახერხებელია, აბრალოდ, „შარლოტ ბობქეთსის“ შემატებამ ლიგის მონაწილეთა ოდენობა 30-მდე შეავსო და ნბა-ს გამრიგეებმაც ოთხი დივიზიონის გუნდები ექვსში გადაანაწილეს.

თანმიმდევრულად მივყვეთ

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

ნიუ ჯერსი ნეთსი

ლიდერები: ჯეისონ კიდი, ალონზო მურნინგი, რიჩარდ ჯეფერსონი, რონ მერსერი
მწვრთნელი: ლოურენს ფრენკი
შედეგი წინა სეზონში: 47 მოგება, 35 წაგება

ბოსტონ სელტიქსი

ლიდერები: პოლ პირსი, რეი დევისი, გერი პეიტონი, ირჟი ვლაში, მარკ ბლუნტი
მწვრთნელი: დოკ რივერსი
შედეგი წინა სეზონში: 36 მოგება, 46 წაგება

ფილადელფია სიქსერზი

ლიდერები: ალენ აივერსონი, კენი ტომასი, ჯორლის უილიამსონი, აარონ მაკი
მწვრთნელი: ჯიმ ობრაიენი
შედეგი წინა სეზონში: 33 მოგება, 49 წაგება

ნიუ იორკ ნიქსი

ლიდერები: სტივენ მარბერი, ალან ჰიუსტონი, ჯამალ კროუფორდი, ანფერნი ჰარდეკეი, ჯურტ ტომასი
მწვრთნელი: ლენი ვილკენსი
შედეგი წინა სეზონში: 39 მოგება, 43 წაგება

ტორონტო რეპტორზი

ლიდერები: ვინს კარტერი, მორის პიტერსონი, დონიელ მარშალი, ჯალენ როუზი, ჯრის ბოში
მწვრთნელი: სემ მიტჩელი
შედეგი წინა სეზონში: 33 მოგება, 49 წაგება

ატლანტიკის სანაპიროებზე ყოველთვის ბინადრობდნენ დიდი და შემძლე გუნდები, „ბოსტონი“, „ნიუ იორკი“, „ფილადელფია“ და ბოლო წლებში ფერზე მოსული „ნიუ ჯერსი“, მაგრამ ახლა ყველას ჩავარდნა აქვს და ხუთივეს დიდი ჯახირი მოუწევს ისედაც სუსტ აღმოსავლეთში რვა საუკეთესოს შორის მოსახვედრად.

თვალში მოგხვდებათ 2002 და 03 წლების ვიცეჩემპიონ „ნიუ ჯერსის“ დაჩაჩანაკება. თირკმელისგან გაწვალებული და კარიერაწამურდლული ალონზო მურნინგის გარდა ყველას მობეზრდა ამ გუნდში თამაში. კენიონ მარტინი „დენვერში“ გაიქცა, კერი კიტლზი „კლიპერსში“... „ნეთსის“ სული, გული, ტვინი, ხელები და სიმბოლო ჯეისონ კიდიც გაქცევაზეა და გუნდის ბოსებისთვის მიცემული სიტყვა რომ არ ჩავთვალოთ, მუხლზე გადატანილი ოპერაციაღა აფერხებს.

„ნიუ ჯერსის“ უფროსი „ნახევარძმა“ „ნიუ იორკ ნიქსი“ კი შედარებით მოყოჩაღდა. მართალია, პირველმექულე ალან ჰიუსტონი დამტვრეული ჰყავს, თუმც „ნიქსის“ პრეზიდენტმა აიზია ტომასმა მწვრთნელ ლენი ვილკენსს „ჩიკაგოდან“ მარკვე მსროლელი ჯამალ კროუფორდი გადმოუყვანა და ესეც მაქმეა.

შარშანდელთან შედარებით ალბათ მოუმატებს „ფილადელფია სიქსერზი“ და მისი ჭინკა ლიდერი ალენ აივერსონი.



ალენ აივერსონი

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა პეისერზი

ლიდერები: ჯერმენ ონილი, რონ არტესტი, სტივენ ჯეესონი, რეჯი მილერი, ოსტინ ჯროშერი
მწვრთნელი: რიკ ჯარლაილი
შედეგი წინა სეზონში: 61 მოგება, 21 წაგება

დეტროიტ პისტონზი

ლიდერები: ჩონსი ბილაფსი, რიჩარდ ჰამილტონი, რაშიდ ვოლესი, ბენ ვოლესი, ტაიშონ პრინსი
მწვრთნელი: ლარი ბრაუნი
შედეგი წინა სეზონში: 54 მოგება, 28 წაგება

კლივლენდ კავალიერზი

ლიდერები:ლებრონ ჯეიმსი, ჟიდრუნას ილგაუსკასი, ჯეფ მაკინისი, ერიკ სნოუ, დრუ გუდენი
მწვრთნელი: პოლ საილასი
შედეგი წინა სეზონში: 35 მოგება, 47 წაგება

ჩიკაგო ბულზი

ლიდერები: ჯირკ ჰაინრიხი, ედი ჯარი, ლუოლ დენგი, ტაისონ ჩანდლერი
მწვრთნელი: სკოტ სკაილზი
შედეგი წინა სეზონში: 23 მოგება, 59 წაგება

მილუოკი ბაქსი

ლიდერები: მაიკლ რედი, დესმონდ მეისონი, კიტ ვან ჰორნი, ჯო სმიტი, ტონი კუკოჩი
მწვრთნელი: ტერი პორტერი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

ერთი „ჩიკაგო ბულზს“ ვერ ეშველა, თორემ ამ დივიზიონში სხვები მძიმე დროებას არ უნდა უჩიოდნენ.

„კლივლენდს“ უკვე ვარსკვლავი და მომავალი ლეგენდა ლებრონ ჯეიმსი ჰყავს, „მილუოკის“ ისეთიც არავინ ჰყავს, მაგრამ მაინც ყოჩაღობს, ხოლო „დეტროიტსა“ და „ინდიანას“ იმდენი გადასარევი ბიჭი მოეძევებათ, დივიზიონში და საერთოდ აღმოსავლეთ ნახევარგანაკვეთში პირველობისთვის დაჭამენ ერთმანეთს.

ჩემპიონ „დეტროიტს“ კონფერენციაში და იქნებ საერთოდ ნბა-შიც ყველაზე გაწონასწორებული შემადგენლობა ჰყავს. ფარქვეშეთს ისევ ბენ და რაშიდ ვოლესები გაამაგრებენ, ბილაფს-ჰამილტონის ტანდემი კი თუ ძველებურად კარაქივით გაჭრის მეტოქეთა დაცვას, მწვრთნელ ლარი ბრაუნს ერთი საქმე გაუჩნდება — რატომღაც მთელი ამერიკის მიერ უპერსპექტიულეს მზეჭაბუკად აღიარებულ დარკო მილიჩიჩს თავზე დაადგეს და ბურთის ხეირიანად სროლა ასწავლოს.

ცალკე უნდა ვთქვათ „მილუოკიზე“, სადაც საქმე არც თუ ურიგოდ მისდის ჩვენებურ ზაზა ფაჩულიას. საგამოფენო მატჩებში ზაზამ ისე მოაწონა თავი მწვრთნელ ტერი პორტერს, რომ არ გაგვიკვირდება, თუ 211-სანტიმეტრიან ჯეელ ქართველს პლეი ოფისთვის მებრძოლი გუნდის დამწყებ ხუთეულში ვიხილავთ.

ბენ ვოლესი

სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი

ვაშინგტონ ვიზარდსი

ლიდერები: ჯილბერტ არენასი, ანთაუნ ჯემისონი, ლარი ჰიუზი, ჯარვის ჰეიესი
მწვრთნელი: ედი ჯორდანი
შედეგი წინა სეზონში: 25 მოგება, 57 წაგება

ორლანდო მეჯიქი

ლიდერები: სტივ ფრენსისი, ჯუტინო მობი, გრანტ ჰილი, დუაიტ ჰოვარდი
მწვრთნელი: ჯონი დევისი
შედეგი წინა სეზონში: 21 მოგება, 61 წაგება

ატლანტა ჰოქსი

ლიდერები: ანტუან უოლკერი, კენი ანდერსონი, ალ ჰარინგტონი, ტონი დელკი
მწვრთნელი: მაიკ ვუდსონი
შედეგი წინა სეზონში: 28 მოგება, 54 წაგება

მაიამი ჰითი

ლიდერები: შაკილ ონილი, დუეინ ვეიდი, ედი ჯონსი, კრისტიან ლეიტნერი
მწვრთნელი: სტენ ვან განდი
შედეგი წინა სეზონში: 42 მოგება, 40 წაგება

შარლოტ ბობქეთსი

ლიდერები: ჰრიმოკ ბრეკეცი, ემეკა ოკაფორი, ჯერალდ ვოლესი, ედი ჰაუსი
მწვრთნელი: ბერნი ბიკერსტაფი
პირველი სეზონი ნბა-ში

გაგიჭირდებათ სამხრეთ-აღმოსავლეთში ხეირიანი გუნდის პოვნა. „ატლანტა“ და „ვაშინგტონი“ რეგულარულ სეზონს 25-30 მოგებასაც რომ გამორჩნენ, საწუწუნო არაფერი ექნებათ. ახლადშობილ „შარლოტ ბობქეთსს“ კი 20 გამარჯვების მოხვეჭაც ეიფორიაში ჩააგდებს.

უკეთესი გუნდებია სამხრეთისკენ, ფლორიდაში — „ორლანდო მეჯიქმა“ ერთადერთი ნამდვილი ვარსკვლავი ტრეიხი მაკგრეიდი „ჰიუსტონში“ გაუშვა, იქიდან სტივ ფრენსისი და კუტინო მობლი წამოიყვანა და ამ ცვლილებამ იქნებ არგოს კიდეც წინა სეზონის უსუსტეს გუნდს. მარად ტრავმირებულმა გრანტ ჰილმაც ცოტა თუ წააშველათ ხელი...

ერთადერთი გუნდი, ვისაც აღმოსავლელი ბობოლების „ინდიანასა“ და „დეტროიტის“ შეწუხება ძალუძს, პატ რაილის „მაიამია“. შარშან რაილიმ მწვრთნელობა ასისტენტ სტენ ვან განდის გადააბარა და ამანაც „ჰითი“ პლეი ოფში დააბრუნა. წელს კი რაილიმ სამი კარგი მოთამაშე — ბრაიან გრანტი, ლამარ ოდომი და კერონ ბატლერი „ლეიკერსს“ ერთში გაუცვალა, მაგრამ ეს ერთი ისეთი დიდია, მთელ გუნდად ღირს — შაკილ ონილზე მოგახსენებთ. დევშაკსაც ემატება წლები, საცაა 32-ს მიუკაკუნებს, მაგრამ ის მაინც სპილოსავითაა ჭურჭლის მაღაზიაში.



შაკილ ონილი

დასავლეთის კონფერენცია

სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონი

დალას მავერიკსი

ლიდერები: დირკ ნოვიცკი, მაიკლ ფინლი, ჯეისონ ტერი, ჯერი სტეჯაუზი, ერიკ დამპიე
მწვრთნელი: დონ ნელსონი
შედეგი წინა სეზონში: 52 მოგება, 30 წაგება

ნიუ ორლეან ჰორნეთსი

ლიდერები: ბაირონ დევისი, ჯამაალ მალუა, დევიდ ვესლი, დარელ არმსტრონგი
მწვრთნელი: ბაირონ სკოტი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

მემფის გრიზლიზი

ლიდერები: პაუ გასოლი, ბონზი ველსი, ჯეისონ უილიამსი, ჯეიმს პოუზი, სტრომილ სვიფტი
მწვრთნელი: ჰუბი ბრაუნი
შედეგი წინა სეზონში: 50 მოგება, 32 წაგება

ჰიუსტონ როკეტსი

ლიდერები: ტრეისი მაკგრეიდი, იაო მინგი, ჯიმ ჯეკსონი, ჯეონ ჰოვარდი
მწვრთნელი: ჯეფ ვან განდი
შედეგი წინა სეზონში: 45 მოგება, 37 წაგება

სან ანტონიო სფურზი

ლიდერები: ტიმ დანკანი, ტონი პარკერი, ემანუელ ჯინობილი, ბრენტ ბერი
მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი
შედეგი წინა სეზონში: 57 მოგება, 25 წაგება

ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

მინესოტა ტიმბერვულვზი

ლიდერები: კევინ გარნეტი, სემ ჯასელი, ლატრელ სპრიუელი, ვალი შჩერბიაკი, ლუ ჰადსონი
მწვრთნელი: ფლიპ სანდერსი
შედეგი წინა სეზონში: 58 მოგება, 24 წაგება

დენვერ ნაგიტსი

ლიდერები: კარმელო ენტონი, ჯენიონ მარტინი, ანდრე მილერი, მარკუს კემბი, ნენე
მწვრთნელი: ჯეფ ბზდელიკი
შედეგი წინა სეზონში: 43 მოგება, 39 წაგება

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

ლიდერები: ზაკ რენდოლფი, დერეკ ანდერსონი, დეიმონ სტუდემაიერი, თეო რეთლიფი, შარიფ აბდურ-რაჰიმი
მწვრთნელი: მორის ჩიქსი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

სიეტლ სუპერსონიქსი

ლიდერები: რეი ალენი, რაშარდ ლუისი, რონალდ მიურეი, ვლადიმირ რადმანოვიჩი
მწვრთნელი: ნეიტ მაკმილანი
შედეგი წინა სეზონში: 37 მოგება, 45 წაგება

იუტა ჯაზი

ლიდერები: ანდრეი კირილენკო, კარლოს არროიო, კარლოს ბუზერი, მეტ ჰარპრინგი, გორდან გირიჩეკი
მწვრთნელი: ჯერი სლოუნი
შედეგი წინა სეზონში: 42 მოგება, 40 წაგება

წყნარი ოკეანის დივიზიონი

საკრამენტო კინგზი

ლიდერები: კრის ვებერი, ჰრეტრაგ სტოიაკოვიჩი, მაიკ ბიბი, დუგ კრისტი, ბრედ მილერი
მწვრთნელი: რიკ ადელმანი
შედეგი წინა სეზონში: 55 მოგება, 27 წაგება

ფინიქს სანზი

ლიდერები: ამარე სტუდემაიერი, შონ მარიონი, სტივ ნეში, კევინ რიჩარდსონი, ჯო ჯონსონი
მწვრთნელი: მაიკლ დანტონი
შედეგი წინა სეზონში: 29 მოგება, 53 წაგება

ლოს ანჯელეს ლეიკერსი

ლიდერები: კობი ბრაიანტი, კარლ მალონი, ვლადე დივაცი, ლამარ ოდომი, ბრაიან გრანტი
მწვრთნელი: რუდი ტომიანოვიჩი
შედეგი წინა სეზონში: 56 მოგება, 26 წაგება

გოლდენ სტეიტ ვორიორზი

ლიდერები: ჯეისონ რიჩარდსონი, მაიკ დანლივი, დეილ დევისი, ტროი მერფი
მწვრთნელი: მაიკ მონტგომერი
შედეგი წინა სეზონში: 37 მოგება, 45 წაგება

ლოს ანჯელეს კლიპერსი

ლიდერები: ელტონ ბრენდი, ჯერი ჯიტლზი, ჯორი მეჯიტი, მარკო იარიჩი
მწვრთნელი: მაიკ დანლივი
შედეგი წინა სეზონში: 28 მოგება, 54 წაგება

ყველაზე მძლავრი დივიზიონია. სამივე ტეხასელი და ორივე მისისიპისპირელი, სულ ცოტა, საპლეიოფო კალიბრისაა. იქნებ ცოტა გაუჭირდეს აღმოსავლეთიდან გადმობარგებულ „ნიუ ორლეან ჰორნეთსს", მაგრამ უკან დახევას, თუ გაფრენას, არც „კრაზანები" აპირებენ. აი, ჯამალ მაშბურნი რომ ფეხზე ჰყავდეთ, მაშინ სულ სხვა ტონით დაელაპარაკებოდნენ.

ტეხასში კი ნამდვილი ვესტერნული ბათქა-ბუთქი გაჩაღდება. მსროლელები სამივეს ჰყავს, ძველებიც და ახლებიც. ტიმ დანკანის, ტონი პარკერისა და მანუ ჯინობილის „სან ანტონიომ" მრავალღონე ბრენტ ბერი შეიმატა და თავისთავად, მხოლოდ ჩემპიონობაზე გაიწევს. თანაც ყველანი ახალგაზრდები არიან და ძარღვებში სისხლი უდუღთ.

მატებაა „დალასშიც": მართალია ანტუან უოლკერი და სტივ ნეში საგრძნობი დანაკარგია, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, მაგრამ შევსება მეტად სოლიდურია. ნეშის ნაცვლად „მავერიკსის" შეტევებს ჯეისონ ტერი გაუძღვება, ფარქვეშეთს კი ერიკ დამპიე გაამაგრებს და გოლიათი გერმანელი სნაიპერი დირკ ნოვიცკიც ნაკლებად მოცდება შავ სამუშაოზე. ეს კიდევ არაფერი: მფრინავი ჯერი სტეკჰაუზი დრიბლიორ მაიკლ ფინლის ფეხს აუწყობს და კიდევ უფრო დამუხტავს ისედაც ლაღად მოთამაშე დალასელებს.

„ჰიუსტონი" აქამდე თავის ორ თანაშტატელზე ოდნავ სუსტი იყო, მაგრამ ლიგის უჩაუქესი მექულის ტრეისი მაკგრეიდის 30-30 ქულიანი თამაშები ბევრ გამარჯვებას მოიტანს.

...და არ დაგავიწყდეთ ჩინური კედელი! იაო მინგი — ჩვენზე არანაკლებ კარგად მოგეხსენებათ და — ფიცარნაგიდან 226 სანტიმეტრს აითვლის და ისიც იცოდეთ, კიდევ იზრდება.

ამ დივიზიონში უნდა ეთამაშა ჩვენებურ ნიკა ცქიტიშვილს, მაგრამ ტანსარო ქართველ ფორვარდს ბოლო ხანს „დენვერ ნაგიტსში" საქმეები აეწეწა და მომავალი დაებინდა, მით უმეტეს გუნდში მოზვერა კენიონ მარტინის მოსვლის შემდეგ. „დენვერი" დიდების მარაქაში გარევას აპირებს და ახლა კოლორადოს მთავარქალაქში ისეთი გაწამაწიაა, ცქიტიშვილისთვის არავის სცხელა. სავარაუდოდ, ქართველი ფორვარდი ადგილს დაკარგავს 12-კაცა განაცხადში — ჯეფ ბზდელიკი მას ტრავმირებულთა სიაში ჩაწერას უპირებს.

საზოგადოდ, მისისიპის გადაღმა სუსტი დივიზიონები არაა და ჩრდილო-დასავლეთშიც თავისი წილი ამბიცია ყველას აქვს. ერთი „სიეტლი" მოიკოჭლებს — რეი ალენის გარდა ხეირიანი ბევრიც არავინ მოეძევება, სხვები კი რეგულარულ სეზონში მოშლა-არმოშლის თქმას და პლეიოფში გაგრძელებას აპირებენ. ყველაზე დიდი ზვიგენი თავისთავად „მინესოტა" ტიმბერვულვზია", რომელსაც სეზონის დაწყებამდე ბევრი არ უვაჭრია, მაგრამ მაინც მოეზარდა ახალი კბილები — ტრავმირებული ვარსკვლავები ვალი შჩერბიაკი და ლუ ჰადსონი მოუკეთდნენ. ეგაა, შჩერბიაკი ათვალწუნებული ჰყავს გუნდის, მგონი, სამარადჟამო ლიდერს და წინა სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს კევინ გარნეტს — აქაოდა, ბურთის სროლა რომ გიყვარს, ცოტა გვერდზეც მიმოიხედე, გვერდში მდგომისთვის პასი გაიმეტე და დაცვაში ოფლის დაღვრაც ნუ გესიკვდილებაო. მაგრამ ეს არაფერი.

ორიოდ სიტყვა ვთქვათ „პორტლენდზეც", რომლის შემადგენლობაში დამკვიდრება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს ჩვენებურ ვოვა სტეფანიას. გუნდს კი, როგორც ყოველთვის, დიდი გეგმები აქვს, თქვენც არ მომიკვდეთ და, ჯეისონ კიდის გადაბირება უნდა.

გუნდების ახლებურად გადანაწილების შემდეგ ისევ წყნარი ოკეანის დივიზიონში შეხვდა ადგილი 14-გზის ჩემპიონ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს", მაგრამ ეს ის „ლეიკერსი" ვეღარაა. არ შეიძლება გუნდს დევშაკის წასვლა არ დაეტყოს. შაკილ ონილი კობი ბრაიანტთან ბავშვურ კინკლაობას „ემსხვერპლა", ბრაიანტი კი, ვის წასვლაზეც უფრო ადრე ლაპარაკობდნენ, ლოს ანჯელესში პირველ კაცად რჩება. „ლეიკერსმა" რვაწლიანი განშორების შემდეგ დაიბრუნა ამ ხნის განმავლობაში ორგუნდმოვლილი ვლადე დივაცი, ხოლო შაკის ნაცვლად „მაიამიდან" საკომპენსაციოდ მიღებული სამი კარგი მოთამაშე ურიგო საფასური არაა. ასე რომ, „ლეიკერსი" ალბათ მაინც დარჩება ბობოლებში.

სხვაფრივ, ძველებურად არ ულხინს, მაგრამ ნამდვილად არ უჭირს სიმპათიურ „საკრამენტო კინგზს". „მეფეთა" ორი საუკეთესო მოთამაშე კრის ვებერი და პრედრაგ სტოიაკოვიჩი კი გაიძახოდნენ, აქ მოგვწყინდა და სხვაგან გვინდაო, მაგრამ ჯერ რჩებიან ჩრდილოეთ კალიფორნიაში. წასელით კი დივაცი წავიდა, უკვე მოგახსენეთ სადაც. თუმც ეს ნამდვილად არაა პრობლემა — ბრედ მილერი დივაცზე არანაკლებ საიმედოა. ეგაა, „მეფეებს" შეეტყობათ ნბა-ს ერთ-ერთი უყოჩაღესი დამცველის დუგ კრისტის არყოფნა, რომელიც ტრავმას იშუშებს.

„ლეიკერსსა" და „საკრამენტოსთან" შედარებით მოიკოჭლებენ დივიზიონის სხვა ბინადრები, მაგრამ ჩამოსაწერად არცერთი გვემეტება. მით უფრო „ფინიქს სანზი", რომელსაც ახალწვეული კანადელი გამთამაშებელი სტივ ნეში კიდევ უფრო ააჩქარებს და მოუხელთებელს გახდის. ერთი კარგი ცენტრი რომ მოგვცა, ვერავინ შემოგვყეფდაო, ამასლა ნატრულობენ არიზონელები.

კოტე ყორღია



იაო მინგი



კენიონ მარტინი


კობი ბრაიანტი

სანიკიძე დიჟონში გაყოჩდა

თუ აქამდე ლეგიონერთაგან ძირითადად დაღვინებული მოთამაშეები ყოჩაღობდნენ, გასული კვირის საუკეთესოდ სრულიად ახალგაზრდა ვიქტორ სანიკიძე შეგვიძლია გამოვაცხადოთ. ჯერ ერთი, იგი მხოლოდ 18 წლისაა, თანაც ევროპის საკმაოდ მძლავრ, საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს და ასეთი დონის ტურნირში თავის გამოჩენა უბრალო საქმე არ გახლავთ.

ახალგაზრდა ქართველმა სეზონის დაწყებისთანავე მოიპოვა „დიჟონის“ თავკაცის ნდობა და რაც დრო გადის, მით უფრო იმყარებს გუნდში პოზიციებს. სანიკიძემ გასულ კვირას ორი მატჩი ითამაშა და თავისიანთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

სამწუხაროდ, „დიჟონმა“ ორივე მატჩი წააგო, მაგრამ ეს ჩრდილს არ აყენებს ქართველი ფორვარდის გარჯას. დიჟონელები წლეულს ფიბა-ევროპის ლიგაშიც იბრძვიან და ოთხშაბათს საბერძნეთში მოუხდათ თამაში. მასპინძელი „იონიკოსი“ გახლდათ და ბერძნულ გუნდებთან სტუმრად თამაში რასაც ნიშნავს, ფრანგებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს. „იონიკოსმა“ თანაბარი მატჩის ბოლო მეოთხედში გატეხა „დიჟონი“ და საბოლოოდ 94:84 გაიმარჯვა.

სანიკიძე შეცვლაზე შევიდა, თუმც ყოჩაღი გარჯის გამო მწვრთნელმა იგი 21 წუთით ათამაშა. ქართველმა ფორვარდმა ბერძნებს 12 ქულა ჩაუგდო და 5 ბურთი მოუხსნა. სხვებმა ამაზე მეტიც შეძლეს, მაგრამ საერთო საქმეს მაინც ვერ ეშველა.

ვიქტორ სანიკიძე ფრანგებს გაუშინაურდა

საფრანგეთში დაბრუნებული დიჟონელები შაბათს ეროვნულ ჩემპიონატში გააფთრებულ „პო-ორტეზს“ გადააწყდნენ და გვარიანად შერცხვნენ. „პოელებმა ჩვენამდე ზედიზედ ოთხი თამაში წააგეს და მთელი ჯავრი „დიჟონზე“ იყარეს — გვითხრა ვიქტორ სანიკიძემ — იცოდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ბოლომდე თავი მოიკლეს და ორმოც ქულაზე მეტით მოგვიგეს. მწვრთნელმა თამაშის წინ მითხრა, ეცადე, შეცდომები არ გქონდესო და მისი დავალება შევასრულე — ბურთი არ დამიკარგავს.“

„პო ორტეზთან“ სანიკიძემ ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 34 წუთი დაჰყო — ამდენი მას „დიჟონში“ ყოფნის განმავლობაში არასდროს უთამაშია. 14 ქულის მომხვეჭი ქართველი ფორვარდი დიჟონელთაგან საუკეთესო იყო.

ბომბარდირობას ნაჩვევმა ვლადიმერ ბოისამ წინა კვირაში ჩვეულად ვერ ითამაშა. ადრიატიკის ლიგაში „ოლიმპიამ“ ორი მატჩი მოიგო და 8 ტური წაუგებლად მავალი მეცხრეში თანაქვეყნელ „სლოვანთან“ დამარცხდა. მანამდე კი ოლიმპიელებმა ლიუბლიანაში სერბულ „ჰემოფარმს“ მოუგეს და ამ წარმატებაში თავისი წილი ბოისამაც შეიტანა.

სტაბილურობას „უჩივის“ „ოლიმპიაში“ ამ ბოლო დროს ათამაშებული მანუჩარ მარკოიშვილი — „ჰემოფარმთან“ „მანო“ მხოლოდ ორი წუთით ათამაშეს, „სლოვანს“ კი 9 წუთში 4 ქულა ჩაუგდო.

ოკეანგაღმიდან გასულ კვირაში კარგი ამბავი მოვიდა — ვლადიმერ სტეფანია მოედანს დაუბრუნდა. მან „ტორონტო რეპტორზს“ 11 ქულა ჩაუგდო, თუმც მომდევნო საგამოფენო მატჩი „სიეტლთან“ არ უთამაშია.

სასიამოვნო ამბებია მილუოკიდანაც, ოღონდ საქმეს მოთავებულად მაშინ ჩავთვლით, როცა „ბაქსის“ მწვრთნელი ტერი პორტერი ზაზა ფაჩულიას ხუთეულის წევრად დაასახელებს. საამისოდ ყველა პირობა არსებობს, ზაზამ საგამოფენო მატჩებში ყველა კონკურენტს აჯობა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	ჩ
ადრიატიკის ლიგა									
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	ჰემოფარმი	შ	71:68	32	10	5	4	0
		სლოვანი	ს	92:100	25	4	2	0	1
ადრიატიკის ლიგა									
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ჰემოფარმი	შ	71:68	2	0	0	0	0
		სლოვანი	ს	92:100	9	4	2	0	0
ადრიატიკის ლიგა									
დავით უგრეხელიძე	პივოვარნა	ზადარი	შ	60:54	16	0	5	0	2
		ჰელიოსი	ს	71:62	18	0	3	1	1
საფრანგეთი. PRO A									
ვიქტორ სანიკიძე	დიჟონი	პო ორტეზი	ს	54:90	34	14	1	2	0
საფრანგეთი. PRO B									
გიორგი მდივანი	ეპინალი	როენი	ს	69:90	14	6	2	2	0
ფიბა-ევროპის ლიგა									
ვიქტორ სანიკიძე	დიჟონი	იონიკოსი	ს	84:94	21	12	5	0	1
რუსეთი. სუპერლიგა									
გიორგი ცინცაძე	სამარა	ხინკი	შ	87:93	განაცხადში არ იყო				
შემონდ უილიამსი	უნიკსი	დინამო (რეგიონი)	შ	77:72	34	7	4	6	1
NBA. საგამოფენო მატჩები									
ზაზა ფაჩულია	ორლანდო	მემფისი	ს	92:99	13	8	6	2	1
ვლადიმერ სტეფანია	პორტლენდი	ტორონტო	ს	97:92	15	11	6	1	2
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	დენვერი	ინდიანა	შ	89:79	განაცხადში არ იყო				

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ



აგასიმ ვერ შეასამოცა

DAVIDOFF SWISS INDOORS
ბაზელი. ხალიჩა
საპრიზო 989 750 ევრო

ფინალი

ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) 6:7, 6:3, 6:4, 1:6, 6:2

საჩოგბურთო საქმეებში მეტ-ნაკლებად ჩახედული ხალხი ელოდა, რომ 22 წლისა და მსოფლიო რეიტინგსიის მეათე საფეხურზე მდგომი დავიდ ნალბანდიანი უცილოდ აჯობებდა მასზე შვიდი წლით უფროსსა და რეიტინგსიაში ათი ადგილით ქვემყოფ ირჟი ნოვაკს. ამ მოლოდინს არგენტინელის ასაკობრივ და სარეიტინგო ღონივრობასთან ერთად ის გარემოებაც ამყარებდა, რომ მან ბაზელურ ფინალს უკვე ზედიზედ მესამეჯერ უწია და 2002 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც იქ იჩემპიონა, იქაურ ხალიჩაზე ერთი შეხვედრაც არ დაეთმო. ნალბანდიანი არც შარშანდელ ფინალში დამარცხებულა — ტიტულის დაცვა მას მაჯის ტრავმის გამო არ დასცალდა.

მაგრამ ნოვაკმა ეს ყველაფერი სულ ჩოგანზე დაიკიდა, ჯამში მეტოქეზე უფრო მშვიდად გაირჯა და წლის მეორე, ხოლო კარიერის მეშვიდე ტიტული დამსახურებულად მიითვალა. შეგახსენებთ, რომ წლეულს მან კიდევ ტოკიოობაზეც იმარჯვა, ხოლო აქა-იქ ნახევარფინალამდეც მივიდა. მოკლედ, სეზონი არცთუ ურიგოდ უთამაშია, თუმცა იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონთა რბოლაში ახლა მხოლოდ 23-ე ადგილზეა, ხოლო შარშან მე-12 ადგილზე გაასრულა, გამოვა, რომ წინა სეზონში უფრო ნაბეჯითება.

სტოკჰოლმის ღია პირველობა
ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 643 750 ევრო

ფინალი

ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ანდრე აგასი (1, აშშ) 3:6, 6:3, 7:6 (7:4)

ძალიან კი სურდა 34 წლის არმენოამერიკელს, კარიერის მე-60 ტიტული მოერეწა, მაგრამ თავისზე ხუთი წლით უმცროსი მასპინძლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. არადა, მილეთს აქაც ყველაფერი პირუკუ წარმოედგინა, რადგანაც — სხვა თუ არაფერი — რვაგზის სლემტიტულოსან აგასის ავსტრალიის შარშანწინდელი პირველობის გამარჯვებულისთვის ექვს პირად შეხლაში ექვსჯერვე მოეგო. მასთან გამარჯვება წინა თამაშებში შემეძლო, მაგრამ ვერ ვახერხებდი, ახლა კი როგორც იქნა, გამიმართლაო, იძახდა ნაფინალევს იოჰანსონი და ერთგვარად მართალიც იყო — ბოლო-ბოლო ხომ უნდა გამართლებოდა. სხვაფრივ კი ეს მისი პირველი საამსეზონო და მერვე საკარიერო ტიტულია. წლეულს ის ნოტინგემობის ფინალშიც გავიდა, შარშან კი ტრავმიანობის გამო საერთოდ არ უთამაშია.

სანკტ-პეტერბურგის ღია პირველობა
ჭერქვეშა ხალიჩა
საპრიზო 1 მილიონი $

ფინალი

მიხაილ იუჟნი (4, რუსეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:2, 6:2

მარატ საფინის ნაადრევი გაბუნტურების შემდეგ მასპინძელთა დროშა 22 წლის მოსკოველმა მიხაილ იუჟნიმ გადაიბარა და მას შემდეგ, რაც ნახევარფინალში გრეგ რუზედკის აჯობა, მის საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი აღარავის შეჰპარვია. კაროლ ბეკს — ფინალი იქით იყოს — აქამდე ერთ საეტაპო ნახევარფინალშიც არ ეთამაშა და ყოჩაღი რუსის მძლეველი არც ისე უნდა ყოფილიყო. აი, აქ კი ჩოგბურთის ტრფიალთა ვარაუდი დასტურ გამართლდა. იუჟნიმ მეტოქე თავიდანვე ალაგმა და სადავეები მანამ არ მოაბოში, სანამ პირველი საამსეზონო და მეორე საკარიერო ტიტული არ იშოვა.

GENERALI LADIES
ლინკი. ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $

ფინალი

ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — ელენა ბოვინა (9, რუსეთი) 6:2, 6:0

წლის მეოთხე და კარიერის მეთოთხმეტე ტიტული 25 წლის ფრანგ ვაჟქალს უაღრესად იოლად ერგო. გაცილებით უფრო შეუპოვარ შეხლას ველოდი, რაკიღა ჩვენი წინა ორი მატჩიდან ორივე სამსეტიანი იყო, იძახდა ნამატჩევს მორესმო. ბოვინა კი იმით იმართლებდა თავს, შაბათს ნადია პეტროვასთან სამსეტიან ბრძოლას გადავყევიო. ერთი სიტყვით — დაშხოშიანი განდაგანისთვის დადარაჯებულ ქომაგს ბილეთი ნაცარში ჩაუვარდა, მორესმომ კი ამ გამარჯვების მიუხედავად მაინც ვერ შეძლო რეიტინგსიის სათავიდან ლინდსი დევენპორტი ჩამოექვეითებინა.

სხვაფრივ აქვე გეტყვით, რომ იმ დღესვე მეორე, ლუქსემბურგულ ფინალში იძლია კიდევ ერთი რუსი ქალმეჩოგნეც — დინარა საფინამ 3:6, 4:6 წააგო ავსტრალიელ ალიშა მოლიკთან, ვინაც წინა კვირაში ციურიხობაზეც იპირველა და იქაც რუსს, მაშა შარაპოვას მოუგო.

ლევან კელაურაძე

თასი ფრანგებმა შეაკავეს

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს თასის გათამაშებამდე ხუთი დღეა რჩება. 6-7 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ნაკრებმა შარშანდელ ალმაათურ მსოფლიოს თასზე დაკავებული მესამე ადგილი პირველით უნდა შეცვალოს. ბეგი დარჩიას რჩეულთა სია ახლახან გაგაცანით და ხელახლა აღარ ჩამოვთვლით, რახან მასში ცვლილებები არ მომხდარა. შეიცვალა ტურნირის ფორმატი და აი, რატომ:

„ადრევე დასახელებულ ოთხ მონაწილეს: საქართველოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ირანსა და ბელარუსს ამ დღეებში ორი სხვაც უნდა შემატებოდა — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომარ შიშიტაშვილმა — ეს ექვსეული ორ ჯგუფში უნდა გადანაწილებულიყო და პირველ ადგილზე გასულებს ერთმანეთში თასის მფლობელი გაერკვიათ, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ოთხეულს მხოლოდ ერთი ქვეყანა, საფრანგეთი დაემატება. შესაბამისად, შეიცვალა გათამაშების სისტემაც. ხუთივე ნაკრები ერთ ჯგუფში მოიყრის თავს და ყველა ყველას შეხვდება. აქედან გამომდინარე, ფინალის გათამაშება საჭირო აღარ გახდება და თასს ის დაისაკუთრებს, ვინც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.“

პირველები თბილისში ამერიკელი და ირანელი მოჭიდავეები ჩამოვლენ, ისინი ხვალ ჩამოფრინდებიან. ბელარუსები, ფრანგები, აგრეთვე შეჯიბრების მსაჯები და ოფიციალური სტუმრები კი მათ ერთი დღით გვიან მოჰყვებიან.

ოთარ გალლაკელიძე

ვიტალი კლიჩკო ნაცნობ კედლებში ჩაიკეტა

რამდენიმე დღის წინათ გამოცოცხლდა ლოს ანჯელესის საწვრთნელი ბაზა, სადაც უკრაინელი მოკრივე ვიტალი კლიჩკო 11 დეკემბრის ბრძოლისთვის მზადებას შეუდგა. მას სწორედ ამ დღეს მოუწევს წლეულს აპრილში WBC-ის ვერსიით სუპერმძიმე წონაში მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვა.

„ეს ბაზა მომავალ ბრძოლამდე დარჩენილი შვიდი კვირის განმავლობაში ჩემი სახლი იქნება — ამბობს ვიტალი — სწორედ აქ ვემზადებოდი ლენოქს ლუისის, კირკ ჯონსონის და კორი სანდერსის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯერჯერობით მზადების პირველ ეტაპზე ვარ, რამდენიმე დღის შემდეგ კი სპარინგებსაც დავიწყებ. ახლა აქტიურად ვთანამშრომლობ ჩემს პირველ მწვრთნელ ვლადიმერ ზოლოტარიოვთან, მაგრამ 7 ნოემბრიდან საქმეში ჩაერთვება ფრიც ზდენეკიც, რომელიც 11 დეკემბრამდე ჩემთან იქნება.“

კლიჩკოს თქმით, მის ძმასთან ერთად საპრომოუტერო კომპანია პირველად აწყობს სრულმასშტაბიან კრივის საღამოს.

„ვერ ვიტყვი, რომ ვლადიმერთან ერთად ჩვენი საპრომოუტერო კომპანია K2 რაღაც ახალი იქნება. თუმცა მართალი რომ გითხრათ, ჩვენი კომპანია პირველად დაკავდება არა მხოლოდ ჩემი ბრძოლის ორგანიზებით, არამედ მთელი კრივის საღამოს მაშტაბითაც. ამავე დროს არის ტელეარხ HBO-ს პროფესიონალთა გუნდი, რომელიც ყველა პრობლემასა და სიძნელეს გადაჭრის, რითაც კრივის მოყვარულთ დიდ ზეიმს მოუწყობს.“

WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში XV ეტაპი ესპანეთი

REUTERS კატალონიიდან

მარკო მარტინმა ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო

რბოლის შედეგები

1	მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი)	31სთ; 40.43,8
2	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	23,2
3	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	37,7
4	სტეფან სარაზინი (საფრანგეთი, სუბარუ)	2.50,4
5	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	3.06,7
6	დანიელ სოლა (ესპანეთი, მიცუბისი)	3.55,7
7	ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი)	4.05,9
8	მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ)	4.31,7

საერთო ჩათვლა

1 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 108 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი 82; 3 მარკო მარტინი 79; 4 კარლოს საინსი 73; 5 მარკუს გრონჰოლმი 62; 6 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 47; 7 მიკო ჰირვონენი 24; 8 ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 20; 9 იანე ტუოინონ (ფინეთი, ფორდი) 16; 10 ფრედი ლოა 9

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 184 ქულა, ფორდი 137, სუბარუ 117, პეჟო 93, მიცუბისი 17

მსოფლიოს ჩემპიონატი. XVI ეტაპი

2004 წლის მოტოჩემპიონები: დანიელ პედროსა, ვალენტინო როსი და ანდრეა დოვიზიოსო

სამი მოტოშუშკეტერი

სეზონის დასკვნით ეტაპს ფორმალური სახე ჰქონდა, რადგან სამივე კლასში ჩემპიონები ვადამდე გარკვეულები იყვნენ. ეს კი არა, ორი მეორე პრიზიორიც „სახეზე“ იყო და მხოლოდ ყველაზე სუსტმოტორიან, 125 კუბურ სანტიმეტრიან კატეგორიაში რჩებოდა სავიცეჩემპიონო ვაკანსია.

იტალიელი რობერტო ლოკატელი სამი ქულით უსწრებდა ესპანელ ხორხე ლორენცოს და დიდი „საერცხლო“ ჯახიც იყო მოსალოდნელი, მაგრამ დუელი არ შედგა, ესპანელი ფინიშამდე ათი წრით ადრე გამოეთიშა ბრძოლას და საერთო მესამე ადგილიც კი დაკარგა. ჩაფლავდა ლოკატელიც — ვალენსიაში მხოლოდ მეექვსე მივიდა ფინიშთან და ვიცეჩემპიონობას ვერ შესწვდა. მშობლიური დიდი პრიზი ესპანელმა ექტორ ბარბერამ დაისაკუთრა და საბოლოო ცხრილში ორივე კონკურენტი უკან ჩამოიტოვა.

ანდრეა დოვიზიოსომ კი ჩემპიონობა პირველად მოიპოვა. იტალიელმა შარშან მხოლოდ 157 ქულას მოუყარა თავი და გენერალურ კლასიფიკაციაში მეხუთე საფეხურზე დარჩა. ამჯერად ხუთი რბოლა მოიგო, კიდევ ექვსჯერ შედგა პოდიუმზე, თითქმის ორჯერ მეტი ქულა დააგროვა და რა გასაკვირია, რომ ტიტულსაც გამოჰკრა ხელი.

19 წლის დანიელ პედროსა გინესის რეკორდების წიგნში ჩაეწერა: მინიატურული (160 სმ, 47 კგ) ესპანელი მოტოისტორიაში ყველაზე ყმაწვილი ჩემპიონია, ვინც მიყოლებით ორ სხვადასხვა კლასში (150, 250 სმ³) იპირველა.

დენის ასაკთან ერთად, ცხადია, ოსტატობაც მოემატა და შარშანდელ 223 ქულას თითქმის ასით გადააჭარბა, ექვსჯერ ყველას მიასწრო ფინიშთან, ხუთჯერ მეორე იყო და... საბადელელი ეუნდერკინდი გაისად იქნებ უმაღლეს, „მოტო გრანპრის“ დივიზიონშიც ვიხილოთ.

უნიკალური პიროვნებაა 25 წლის ვალენტინო როსი. „სამეფო კლასში“ შარშან ზედიზედ მესამედ გაჩემპიონების შემდეგ სუპერ „ჰონდადან“ ნაკლებძალოვან „იამაპაზე“ გადაჯდა. ეს აშკარად უკანდახევა კი იყო, მაგრამ იტალიელმა „მოტო-შუმახერმა“ შედარებით სუსტი ბედაურითაც ყველას აჯობა და ნათლად დაგვანახა, რომ მხოლოდ თანამედროვეობის კი არა, იქნებ საერთოდაც უპირველესი კაცია. ორი სხვადასხვა მოტოთი გაჩემპიონება „დოქტორ“ როსის გარდა მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლების დიადმა მხედარმა, ამერიკელმა ედი ლოუსონმა შეძლო.

„მოტო გრანპრიში“ ტრიუმფამდე ვალენტინომ თითოჯერ დაიდგა გვირგვინი დაბალ კლასებში, ხოლო ამჟამინდელი, უკვე მეექვსე ტიტული 16-იდან ცხრა ეტაპის მოგებით(!) „დაასველა“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავს დაგვირგვინებას როსის გარდა სხვა ვერავინ მოახერხებდა.

გია ახალაძე

ვალენსიის დიდი პრიზი. რიჩარდ ტორმო — 4005 მ

მოტო გრან პრი — 120,1კმ

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაპა) — 47 წთ; 16,1
2 მაქს ბიაჯი (იტალია, ქემელ ჰონდა) — ჩამორჩა 0,4
3 ტროი ბეილისი (ავსტრალია, დუკატი) — 3,1

საერთო ჩათვლა

1 როსი 304 ქულა; 2 სეტე გიბერნო (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 257; 3 ბიაჯი 217; 4 ალექს ბარუში (ბრაზილია, რეპსოლ ჰონდა) 165; 5 კოლინ ედვარდსი (აშშ, ტელეფონიკა ჰონდა) 157

250 სმ³ — 108,1კმ

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — 44 წთ; 10,2
2 ტონი ელიასი (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) — 8,1
3 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, კარერა აპრილია) — 27,4

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 317 ქულა; 2 სებასტიან პორტო (არგენტინა, რეპსოლ აპრილია) 256; 3 დე პიუნე 214; 4 ელიასი 199; 5 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია რეისინგი) 147

125 სმ³ — 96,1კმ

1 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ზეედორფ აპრილია) — 40 წთ; 45,3
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) — 0,8
3 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ზეედორფ აპრილია) — 1,0

საერთო ჩათვლა

1 დოვიზიოსო 293 ქულა; 2 ბარბერა 202; 3 რობერტო ლოკატელი (იტალია, კარერა აპრილია) 192; 4 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, კახა მადრიდ დერბი) 179; 5 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) 145



ოლიმპიადის სკანდალური ენდშპილი

ტუსაღობა დასრულდა, სასამართლო იწყება

ეს ამბავი პაპუასეთში ან უგანდაში რომ მომხდარიყო, ეგებ არ გაგვკვირვებოდა, მაგრამ როდესაც ევროპის ცივილიზებულ ქვეყანაში მოჭადრაკეს ჯიბის ქურდივით უსწორდებიან და მის მეუღლესაც ალიყურს უთავაზებენ, ჩამაფიქრებელია. მაინც რა მოხდა? მოგეხსენებათ, 30 ოქტომბერს ესპანეთის კურორტქალაქ მალიორკაში 36-ე საჭადრაკო ოლიმპიადის საზეიმო დახურვის ცერემონიალი გაიმართა, სადაც ქართველი დიდოსტატი, ფიდეს ვიცეპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი ადგილობრივმა დაცვის პოლიციამ სასტიკად სცემა, რის შემდეგაც იგი მალიორკის სატუსაღოში წაიყვანეს. ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ აზმაიფარაშვილი არც საავადმყოფოში გადაუყვანიათ და პოლიციის განყოფილებაში მასთან ფიდეს მესვეურებიც არ შეუშვეს. არადა, ბატონ ზურაბს მარჯვენა თვალი სერიოზულად დაუზიანდა და ტანზეც უამრავი იარა აქვს.

დახურვის ცერემონიალი ბოლო აკორდი იყო, თორემ აზმაიფარაშვილსა და ოლიმპიადის ორგანიზატორებს შორის სკანდალი ტურნირის პირველივე დღეს დაწყებულა. კერძოდ, მოჭადრაკის მეუღლეს მარინა მილორავას კაზინოში (სადაც ოლიმპიადა იმართებოდა) შესვლისას დაცვის სამსახური არ აატარებდა, ჩხრეკა დაუწყეს, რაზეც ბატონი ზურაბი აღშფოთებულა. ამ მცირე კონფლიქტის შემდეგ მას მკაცრი კონტროლი დაუწესეს. დახურვის ცერემონიალზე კი... საჭადრაკო ოლიმპიადის ტრადიციების თანახმად, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი გადაეცა ქალებში და კაცებში საუკეთესო ერთობლივი შედეგის მქონე რუსეთის ნაკრებს, მაგრამ ცერემონიალის წამყვანებმა ეს რიტუალი ისე ჩაატარეს, ქართველი ჭადრაკის დედოფალი და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ერთხელაც არ უხსენებიათ და არც სცენაზე მიუწვევიათ. ახლა ქართველის იგნორირების მეორე ფაქტიც: ბაადურ ჯობავამ ვაჟთა შორის ოლიმპიადაზე ინდივიდუალურად ყველაზე მეტი ქულა დააგროვა, საუკეთესო მოჭადრაკე გახდა, მაგრამ ოქროს მედალი ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე მისცეს (ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, მიუგდეს).

ამ ყველაფერმა ზურაბ აზმაიფარაშვილი გააბრაზა და ორგანიზატორებს შეცდომაზე მიუთითა, თუმც არ მოუსმინეს. ამის შემდეგ ქართველი ევროპის ჩემპიონი სცენაზე ასვლას შეეცადა, რათა თავისი გულისწყრომა გამოეთქვა, მაგრამ პოლიცია წინ გადაუდგა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ისე, შეურაცხყოფა რომ რბილად ნათქვამია, ამასაც მიხვდებოდით...

ქართული საჭადრაკო დელეგაცია ოლიმპიადიდან გუშინწინ გვიან ღამით დაბრუნდა, ცხადია, აზმაიფარაშვილისა და მისი მეუღლის გარეშე, ხოლო გუშინ ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია გაიმართა. აბა, სპორტულ შედეგებსა და პარტიების გარჩევებზე ლაპარაკი ვის აინტერესებდა — მომხდარ ინციდენტზე საუბარი საათზე მეტხანს გაგრძელდა:

კახა ჩიგოგიძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი:

„ჩასვლის დღიდანვე თვალში გვეცა საშინელი ორგანიზაციული დონე. ზურაბ აზმაიფარაშვილმა თავიდანვე მოითხოვა სასტუმროს ორი ნომერი — ერთი როგორც მოჭადრაკის, მეორე როგორც ფიდეს ვიცეპრეზიდენტის, თუმც მაინც ერთი ნომერი არგუნეს. სხვათა შორის, ფიდეს პირველ კაცს კირსან ილუმჟინოვსაც ასევე მოექცნენ. ზურაბის ცემის შემდეგ მთელი ფიდე ფეხზე დადგა და გვამშვიდებდნენ. ესპანური პოლიცია აღვირახსნილად მოიქცა, მათი ჭადრაკის ფედერაცია და ორგანიზატორებიც ჩუმად არიან, ვითომც არაფერი მომხდარა. ესპანური პრესაც არაობიექტურია, აქეთ აზმაიფარაშვილს ამტყუნებენ, ხულიგნურად მიიწევდა სცენაზე ასასვლელად და პროვოცირება მოაწყო.“

უფრო ვრცლად და დეტალურად ისაუბრა ვაჟთა ნაკრების კაპიტანმა **თამაზ გიორგაძემ**, რომელიც ერთხანს ესპანეთის ნაკრებსაც წვრთნიდა და იქაური პოლიციის ზნეში კარგად ყოფილა გარკვეული: „ორგანიზაციულ დონეზე ლაპარაკიც ზედმეტია. რაც შეეხება პოლიციას, ესპანეთში ისინი ხელშეუხებელნი არიან და არასოდეს არ ამტყუნებენ. აზმაიფარაშვილი კონფლიქტური, მაგრამ მუდამ სიმართლისთვის მებრძოლი კაცია. ვერ აიტანა, რომ ნონას თასის გადაცემა ასე უსულგულოდ ჩაატარეს, ორგანიზატორების კრიტიკა დაიწყო და მას შემდეგ თვალში ამოიღეს.

...როდესაც ზურაბი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, ჩვენც და ფიდეს მესვეურებიც დავფაცურდით, იმავე ღამეს ვალენსიელი ადვოკატი ავიყვანეთ (ადგილობრივებმა ხელი არ შეგვიწყვეს) და სამშაბათს გაირკვევა, თუ რას გვთავაზობს მათი პოლიცია. იქაური კანონით, პატიმრობაში მყოფ პირს მოწმე უნდა ჰყავდეს და ფიდეს ხალხიც იმიტომ დარჩა ესპანეთში. ჩვენს იქ ყოფნას აზრი არ აქვს, სასამართლოზე მაინც არ შეგვიშვებენ, თორემ დღესვე ჯიბიდან ამოვიღებდით 1000-2000 დოლარს და ესპანეთში ჩავიდოდით.“

ქალთა ნაკრების კაპიტანმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ექსპრეზიდენტმა **ნინო გურიელმაც** და **ნონა გაფრინდაშვილმაც** ესპანური პოლიციის საქციელი აძაგეს, ისე გვამოწმებდნენ, თავი პენტაგონში გვეგონა, ის კი არა, ლამის პარტიებზე გვაგვიანდებოდაო. ჩხუბის მომენტს კი მალიორკული ოლიმპიადის გმირი **ბაადურ ჯობავა** აღწერს: „ზურაბმა სცენაზე ასვლა დააპირა, მაგრამ ექვსი პოლიციელი მივარდა და ძირს დააგდო. ერთს ფეხი ედგა მის თავზე, სამნი გამეტებით ურტყამდნენ, ორი კი ხელბორკილებს ადებდა.“

ამ დროს ჯობავა და ჟურნალისტი ზვიად შათირიშვილი მივარდნიან პოლიციელებს, მაგრამ ისინი მუჯლუგუნებით მოიშორეს თავიდან. — ინციდენტის დაწყებამდე ზურაბი რამდენიმე პიროვნებას აღელვებული ესაუბრებოდა, ხოლო ჩხუბის დროს აზმაიფარაშვილის მეუღლე მარინა მილორავაც მოვიდა, რომელსაც ერთ-ერთმა პოლიციელმა საშინელი ძალით დაარტყა“ — თქვა შათირიშვილმა.

ასეა თუ ისე, ზურაბ აზმაიფარაშვილი სატუსაღოშია და, ცხადია, ყველას აინტერესებს, რა ბერკეტებით შეიძლება მისი გამოხსნა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე ჩაერია საქმეში და ესპანურ მხარეს დაუკავშირდა, თუმც კვირა და ორშაბათიც იქ უქმე დღეებია (გუშინ ესპანეთში რაღაც დღესასწაულს აღნიშნავდნენ) და პასუხი ჯერ არ მიუღიათ. ქართველ დიდოსტატს ბრალს ალბათ დღეს წაუყენებენ, რადგან მისი დაკავებიდან 72 საათი სწორედ დღეს ღამით იწურება.

ისევ თამაზ გიორგაძის ნათქვამს დავუბრუნდეთ: „როდესაც ფიდე გვერდში დაგვიდგა, ადგილობრივმა პროკურორმა განაცხადა, აზმაიფარაშვილმა დანაშაული აღიაროს, ბოდიში მოიხადოს პროვოცირებისთვის და ახლავე გამოვუშვებთო. ცხადია, ზურაბმა ამგვარი „ნომერი“ იუკადრისა. მთავარია, რომ ადვოკატი გვყავს და სიმართლე აუცილებლად გაირკვევა. იმასაც გეტყვით, რომ მთელი ეს სკანდალი ოლიმპიადის მთავარი ორგანიზატორის ანტონიო რამის გამო მოხდა.“

და მაინც, რატომ მაინცდამაინც ქართველი ზურაბ აზმაიფარაშვილი? გიორგაძისვე თქმით, ორგანიზატორებმა ზედმეტი, თანაც ძალიან ზედმეტი შავი თანხა „მოტეხეს“ და როდესაც მიხვდნენ, რომ ზურაბმა ეს ამბავი იცოდა, ასეთი მეთოდებით დაიძვრინეს თავიო. ისიც აღსანიშნავია, რომ ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ხავიერ ოჩოა დე ეხეგუენი აზმაიფარაშვილს ფიდეს ვიცეპრეზიდენტობაში ეცილებოდა და, მგონი, ძაღლის თავი მანდაც უნდა ვეძიოთ...

ილია ნანოგაფშვილი

გუშინ ზურაბ აზმაიფარაშვილი თავდებით გაათავისუფლეს პატიმრობიდან! როგორც შევიტყვეთ, დღეს იგი სამედიცინო ექსპერტიზას გაივლის საავადმყოფოში, ხოლო სასამართლო მოგვიანებით დაიწყება და შესაძლოა, საკმაო ხანსაც გასტანოს. საქმე ისაა, რომ ახლა ფიდე უჩივის ესპანურ პოლიციას. ამ დღეებში ბატონი ზურაბი საქართველოში ჩამოვა და დეტალებიც უფრო დაწვრილებით გაირკვევა.

კახა ჩიგოგიძე, თამაზ გიორგაძე, თამაზ თევზაძე და ბაადურ ჯობავა

ვაფრი კეთილდღეობის ფოტო

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge